ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

## ხორცპროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად ცხოველთა რეესტრი იქმნება



გვ.6

31 აგვისტოდან

ალექსანდრე იასაღაშვილი




შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 2017 №209 (7444) ფასი: 50 თეთრი

# „ამცახარა“ და რუსლან ლაკერბა აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყებას ითხოვენ

აფხაზები ბატონი ლაკერბას პირით გვეუბნებიან, რომ წარსული წავიდა და ახალი ცხოვრება იწყება. ისინი გვთავაზობენ, ვიცხოვროთ ახლებურად, ახალ ვითარებაში და ისტორია სრულიად სუფთა ფურცელზე დავწეროთ.



გვ.4



ჯემალ გამახარია: „რუსლან ლაკერბას განცხადება მისასალმებელია“

## ლეიბორისტები ქუჩაში აქციებს იწყებენ

გვ.2





ბეჟან ნათელაშვილი: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“



გვ.3

## სოსო შატბერაშვილი: „შეთანხმება ნაციონალების დესტრუქციულობის გამო ჩაიშალა“

## საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხანძარი 35-ჯერ გაჩნდა



გვ.4

ISSN 1987-9385



## „ნატო რუსეთის საზღვრებთან ისევ კუნთებს ათამაშებს“

გვ.5

# ლეიბორისტები ქუჩაში აქციებს იწყებენ

შორენა მარსაგიშვილი



## ბეჟან ნათელაშვილი: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“



ვისთან ერთად აპირებენ ლეიბორისტები ქუჩაში გამოსვლას, რა პრობლემები ელოდება ხელისუფლებას დასავლეთიდან, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხალხი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკა საბოლოოდ მოკვდა. როცა პოლიტიკა კვდება, პროცესები ქუჩაში ინაცვლებს. ამიტომაც მოუწოდა ჩვენი პარტიის ლიდერმა ოპოზიციას ერთობლივი ქუჩის აქციებისკენ.

ეს არ გახლავთ რაიმე აკვიატება, საყოველთაო პროტესტი არის გზა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია. იმედი გვაქვს, რომ ოპოზიცია კარგად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და საქვეყნო საქმეებისთვის დაირაზმება.

***– თქვენი აზრით, რომელი პარტიები მიიღებენ ქუჩის აქციებში მონაწილეობას?***

– წესით, ყველა პარტიამ უნდა მიიღოს აქციებში მონაწილეობა, ვისაც ოპოზიციონერობაზე აქვს პრეტენზიები. ინიციატივა ბატონმა შალვა ნათელაშვილმა 2 სექტემბერს გააჟღერა. გამოხმაურებებს ამ კვირიდან ველოდებით.

ერთობლივად უნდა შეიქმნას საკოორდინაციო კომიტეტი, საპროტესტო აქციებმა უნდა მიიღოს ისეთი ხასიათი, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასრულების ქოცრეჟიმს დაასრულებს.

***– წინ არის თვითმმართველობის არჩევნები. თქვენი აზრით, რომელიმე პარტია მოისურვებს არჩევნებისთვის ბოიკოტირებას იმის გამო, რომ თქვენ მიერ ინიცირებულ აქციებს შეუერთდეს?***

– არჩევნების ბოიკოტი საჭირო არ არის. მეტიც, ბოიკოტი არც უნდა გამოვაცხადოთ და ნებისმიერ პროცესში უნდა ჩავერთოთ. მართალია, ვიცით, რომ ეს არჩევნები გაყალბდება, მაგრამ მაინც უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერზე მიდიან, არჩევნების გაყალბებას ვინ ჩივის, მთელი აგვისტო ასანთი ვერ გავაგდებინეთ ხელიდან. სექტემბერიც ხანძრებით დაიწყეს და მთელი საქართველო გადაწვეს.

***– ამას დამტკიცება სჭირდება, რომ ხელისუფლებამ გადაბუგა საქართველო.***

– თავიანთი უმოქმედობით გადაბუგეს ქვეყანა. ერთი ხანძარი მაინც გამოიძიონ და ჩემს სიტყვებს საჯაროდ წავიღებ უკან. რეალურად არ იძიებენ იმიტომ, რომ არ აწყობთ. სათავისოდ ყველაფერს ძალიან სწრაფად იძიებენ.

ბევრი ამ ხელისუფლებას უნიათოს უწოდებს. ჩემი აზრით, ესენი უნიათოები კი არა, დამნაშავეები არიან. დამნაშავეები რომ არ იყვნენ, ყველაფერს კარგად გაარკვევდნენ. იმის მაგივრად, რომ დამნაშავეებს სდიონ, ჩემს სატელეფონო საუბრებს უსმენენ.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ თქვენი სატელეფონო საუბრები ისმინება?***

– ბევრი რამე. თუნდაც ტელეფონზე საუბრის მომენტები. ახლაც როცა თქვენ გესაუბრებით, თქვენს ხმაზე უკეთესად ჩემი ხმის ექო მესმის. აშკარაა, რომ მოსმენაზე ვარ ჩართული. უბრალოდ, ცდებიან ჩემი მოსმენით, რასაც ვფიქრობ, ამას ინტერვიუებში ვამბობ და ფეისბუქზე ვწერ. ამიტომ ნულარ მოცდებიან ჩემი მოსმენით და ჯობია, საქმე გააკეთონ.

ბევრი ოპოზიციონერი ჩივის, რომ მათი საუბრები ისმინება. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება აგონიაშია. აგონიაში მყოფი ხელისუფლება ძალიან საშიშია. ეს საშიში ხალხი აუცილებლად უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას. ოღონდ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანას არ ეტკინოს.

***– უმტკივნეულოდ ამის გაკეთებას როგორ აპირებთ?***

– ძალიან მარტივად, ჩვენ უარს ვამბობთ რევოლუციაზე. ყველა რევოლუციას თან სდევს ხარვეზები. საქართველოში არცერთ რევოლუციას არ მოუტანია დადებითი შედეგი.

აქვე ერთსაც გეტყვით, ყველა რევოლუცია, რაც საქართველოში მოხდა, იყო ვიღაცის ინტერესებში. მატერიალურ დაინტერესებას ვგულისხმობ.

ხალხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივიდეს იმ შეგნებამდე, რომ საპროტესტო აქციები დაფინანსებული არ უნდა იყოს. ჩვენ მიერ ინიცირებული პროტესტი არავის მიერ არ არის დაფინანსებული. ხალხმა, რომელიც აქციაზე მოვა, უნდა იცოდეს, რომ იქ არც ხაჭაპურს დაურიგებენ და არც ყველსა და პურს.

მილიონს რომ ხარჯავს ადამიანი აქციებში, ის პოლიტიკას ბიზნესად უყურებს და, როგორც კი საშუალება მიეცემა, ამ ერთ მილიონს 10 მილიონად ამოიღებს. ხალხი ისეა გამძვინვარებული, რომ ქუჩაში ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე გამოვა.

***– ხალხი გამძვინვარებულია, მაგრამ იმედგაცრუებულიც არის. ძალიან ბევრჯერ გამოვიდნენ ქუჩაში, მაგრამ შედეგი ვერ ნახეს.***

– ხალხმა ეს იმედგაცრუება საკუთარ არჩევანს უნდა დააბრალოს. ეს ხელისუფლება, ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ხალხის არჩეულია. ხომ არ შეიძლება, ყველა არჩევნების შემდეგ სინანულში ჩავვარდეთ. ხალხმა ხან მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება დაიჯერა. აფერისტი ივანიშვილი ამომრჩეველს უფასო ფულს დაჰპირდა. ეს დაპირება მართლაც პირნათლად აასრულა და ისე გააუფასურა ლარი, რომ მას ფასი აღარ აქვს. ახლა ხალხისა და ოპოზიციის მთავარი ამოცანა ამ ხელისუფლების გადაყენებაა. ეს არ არის მიუღწეველი შედეგი. ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია.

შალვა ნათელაშვილი ასევე ითხოვს, რომ ივანიშვილის ანგარიშს ყადაღა დაედოს. ეს კაცი მართლა თოხისა და ერთი კაკალი სიმინდის ამარა უნდა დარჩეს. იმედია, ამერიკა და ევროპა ჩვენს მოთხოვნას გაითვალისწინებენ.

***– ამის იმედი დიდად არ უნდა გქონდეთ. საეჭვოა, დასავლეთმა მის ანგარიშებს ყადაღა დაადოს.***

– ჩემი აზრით კი მისი ანგარიშების დაყადაღება რეალურია. შეგახსენებთ ამერიკელი კონგრესმენის სტივ რასელის განცხადებებს. ის ჯერ კიდევ გასულ წელს ითხოვდა ბიძინა ივანიშვილის ანგარიშების გაყინვას.

***– განცხადებით კი განაცხადა რასელმა, მაგრამ მერე დადუმდა და ამას გაგრძელება აღარ მოჰყოლია.***

– რასელმა განცხადება ერთხელ გააკეთა და მეტჯერ არ იტყვის. ახლა ის სხვა ამერიკელ პოლიტიკოსებთან ერთად მუშაობს.

***– რაზე მუშაობს?***

– ამ საკითხზე. ამერიკისთვისაც ნათელია, რომ ივანიშვილი უკონტროლო გახდა. ის საშიშია როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. მისმა ხალხმა ვენეციის კომისია აიგდო მასხრად და სტრასბურში დაგეგმილი შეხვედრა ჩაშალა. ქოცრეჟიმი ქვეყანას იზოლაციისკენ მიაქანებს.

არადა, იზოლაციაში ქვეყანა კი არა, ეს კაცი უნდა მოაქციონ. ქვეყანამ რა დააშავა, როდესაც ივანიშვილი თავისი ფულებით ბატონობს ქვეყანაზე. მის მოქალაქეებს ოლიგარქის თვალში პინგვინისა და ზებრის ფასიც კი აღარ აქვთ.

აშშ-ში მისი ანგარიშების გაყინვაზე სერიოზულად ფიქრობენ.

***– მოდით, ისევ თქვენს ინიციატივას დავუბრუნდეთ. როდის აპირებთ აქციების დაწყებას?***

– ჯერ ჩვენს შეთავაზებაზე ოპოზიციის პასუხს გავიგებთ და მერე ვიმოქმედებთ. რაც მალე იქნება ეს აქციები, მით უკეთესი ქვეყნისთვის.

***– სექტემბერში 2 საპროტესტო აქციაა დაგეგმილი და მათ ხომ არ შეუერთდებით?***

– არა, მათ არ შევუერთდებით. პატრიოტთა ალიანსი და ქართული მარში რაღაც სხვა მოთხოვნებით გამოდიან. ისინი ხელისუფლების გადაყენებას არ ითხოვენ, დასდევენ ამ საწყალ არაბებსა და ჩინელებს და ივანიშვილზე ერთ საყვედურს ვერ ათქმევინებ.

აქციებს მათთან ერთად გავმართავთ, ვინც მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნის ხსნა ხელისუფლების გადაყენებასა და ვადამდელ არჩევნებშია.

***– თავადაც აღნიშნეთ, რომ ყველა არჩევნების შემდეგ სინანულში ვვარდებით.***

– ეგ მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ხალხი არჩევანს ანგარების გარეშე არ გააკეთებს. ადრეც გითხარით და ახლაც ვიტყვი, რომ ის პოლიტიკოსი, რომელიც არჩევნებზე ფულს არიგებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ფულს ათმაგად ამოიღებს.

# აჭარაში „შუახევი ჰესის“ გვირაბის ნაწილი ჩამოინგრა

აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში, „შუახევი ჰესის“ კაშხალთან დამაკავშირებელი გვირაბის ნაწილი ჩამოიშალა. „აჭარის ტელევიზია“ სოფელ მახალაკიძეების მცხოვრებლებზე დაყრდნობით იუწყება, რომ გვირაბის 700-მეტრიანი მონაკვეთი წყლით ავსებამდე ჩამოინგრა.

გვირაბი ორი თვეა სატესტო რეჟიმში მუშაობს.

– გვირაბი იმ ტერიტორიაზე ჩამოინგრა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ხალხი ითხოვს უსაფრთხოებას. „აჭარისწყალი ჯორჯია“ უნდა ჩაერთოს საქმეში და ხალხი უსაფრთხო ადგილზე გაიყვანონ, ან იმის გარანტია მოგვცენ, რომ ჩვენ არაფერი მოგვივა. მაშინ გვპირდებოდნენ, რომ გვირაბის მშენებლობის შემდეგ წყალი არ დაშრებოდა, ქვათაცვენა და მეწყრული პროცესები არ უნდა გახშირებულიყო, – ამბობს მიხეილ ბერიძე.

ადგილობრივების ცნობით, მიმდებარე სოფლები იმდენად დატენიანდა, რომ მეწყრული საშიშროება კრიტიკულია და მოსახლეობა იძულებულია სოფლები დაცალოს და გადასახლდნენ.

2014 წელს გაფორმებული მემორანდუმით, 22 ოჯახს დაჰპირდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოფელში წყალი დაშრებოდა, მათ 6 თვის განმავლობაში წყალს გაუყვანდნენ, სახლების დაზიანების შემთხვევაში კი მათი განსახლება მოხდებოდა.

შუახევის გამგებელი ტარიელ ებრალიძე ამბობს, რომ წყლის დაშრობა, ქვათაცვენა და სხვა პროცესები ჰესის მშენებლობამდეც ვითარდებოდა.

მახალაკიძეების მცხოვრებლების თქმით, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გეოლოგიური კვლევების ჩატარების მოთხოვნით აქცია 25-ჯერ გამართეს. მათი თქმით, ამ ადგილებზე ჰესის მშენებლობა არ შეიძლებოდა, რადგან 1971 და 1989 წელს, ტერიტორია ორჯერ დაიმეწყრა, მეორედ მთელი სოფელი დაანგრია და 50-მდე ადამიანი იმსხვერპლა.

„შუახევი ჰესის“ მშენებლობა 2013 წელს დაიწყო და 2017 წლის ივნისში დასრულდა. პროექტის მშენებლობა ინდურ Tata Power-ისა და ნორვეგიულ Clean Energy Invest-ის მიერ დაფუძ-



ნებულმა ერთობლივმა საწარმომ „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განახორციელა.

„აჭარისწყალი ჯორჯიას“ განმარტებით, „სხალთა-დიდაჭარის“ გადამცემი გვირაბის ჩამოშლის მიზეზებს მათი ტექნიკური გუნდი, კონსულტანტებთან და ექსპერტებთან ერთად იკვლევს.

– გვირაბის ეს მონაკვეთი დიდაჭარის წყალსაცავთან ახლოს, გვირაბის გამოსასვლელიდან 170 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ჩაკეტილი მონაკვეთის გასწვრივ არ მდებარეობს საცხოვრებელი სახლები. გვირაბი ღრმად მიწის ქანებში გადის და ადგილობრივ მოსახლეობას არანაირი საშიშროება არ ემუქრება, – ნათქვამია განცხადებაში.

კომპანიაში აცხადებენ, რომ გვირაბის მცირე მონაკვეთის ჩამოშლა არ შეაფერხებს „შუახევი ჰესის“ მუშაობას, რომელიც უკვე მზადაა კომერციული ოპერირებისთვის.

პროექტის ფარგლებში მდინარეებზე – აჭარისწყალზე, სხალთასა და ჩირუხისწყალზე ორი კაშხალი აშენდა. წყლის მიწოდება გვირაბების საშუალებით ხდება. „შუახევი ჰესის“ გვირაბის ჯამური სიგრძე 38 კილომეტრია და ის მეორე ყველაზე გრძელი ჰიდროელექტროსადგურის გვირაბია მსოფლიოში. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 420 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს. ჰესების დადგმული სიმძლავრე ჯამურად 187 მეგავატია.

მთისამბები.გე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო შატბერაშვილი: „შეთანხმება ნაციონალების დესტრუქციულობის გამო ჩაიშალა“

## „თბილისში მერობის იმ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, რომელსაც ნაცმოძრაობასთან არაფერი აკავშირებს და რომელიც თბილისელების ინტერესებს იცავს“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ნაწილს შორის ვერ შედგა შეთანხმება კონსტიტუციის იმ მუხლებზე, რომლებიც არჩევნებს ეხება. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

**სოსო შატბერაშვილი:**

– პირველ რიგში, მინდა გაცნობოთ, რომ 25 აგვისტოს პარტიის ყრილობა გვქონდა. მან თავმჯდომარედ ამირჩია. ჩვენთან თავმჯდომარეები როტაციის წესით იცვლებიან და მომდევნო 4 წლის განმავლობაში ამ პოზიციაზე მე ვიქნები.

ხელისუფლებასა და ინტერპარტიულ ჯგუფს შორის კონსენსუსი მიღწეული არ არის. ისევ ვერ იცვლება საარჩევნო სისტემა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები აქამდე მოქმედი შერეული, პროპორციულ-მაჟორიტარული წესით გაიმართება.

მაჟორიტარულ არჩევნებზე უარის თქმისკენ „ქართულ ოცნებას“ 5 წელიწადია, მოვუწოდებთ. ინტერპარტიულ ჯგუფში ადრე ჩვენი პარტიაც იყო გაერთიანებული. ამ ჯგუფმა არჩევნებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო პროექტი რამდენიმე წლის წინ წარუდგინა ხელისუფლებას, ვენეციის კომისიასა და უცხოელ ელჩებს, მათ შორის, პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარე უსუფაშვილსა და პრემიერ ღარიბაშვილს. ამ საკითხზე ჩვენ პრეზიდენტი მარგველაშვილი შეგვხვდა. „ქართული ოცნება“ გვეუბნებოდა, პარლამენტში მრავალპარტიული კოალიციით ვართ წარმოდგენილი, მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას კოალიციაში ყველა არ ეთანხმებაო. „ოცნების“ ლიდერები გვპირდებოდნენ, რომ თუ 2016 წელს პარლამენტში მმართველი პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებდა, მაჟორიტარულ არჩევნებს წერტილი დაესმებოდა. ეს შეპირება არ შესრულდა.

***– 2024 წლის არჩევნებისთვის უქმდება მაჟორიტარული არჩევნები.***

– ეს ძალიან შორია. არ ვიცით, მანამდე რა მოხდება.

***– მმართველი პარტია და ოპოზიცია ამ საკითხზე შეუთანხმებლობას ერთმანეთს აბრალებენ.***

– ინტერპარტიულ ჯგუფში, რომელიც საარჩევნო საკითხებზე მუშაობდა, ჩვენც ვიყავით გაერთიანებული. ეს ჯგუფი იმიტომ დავტოვეთ, რომ მასში შემოვიდა ნაციონალური მოძრაობა. შემდეგ მას დაემატნენ ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი ძალები. ამის გამო ამ ფორმატში მონაწილეობა შეუძლებლად მიგვაჩნია. ინტერპარტიულ ჯგუფში სიტუაცია მაშინ აირია, როცა იქ ნაციონალური მოძრაობა გაჩნდა.

***– მიანიშნებთ იმაზე, რომ შეუთანხმებლობა საარჩევნო საკითხებზე ნაციონალური მოძრაობის დესტრუქციის ბრალია?***

– ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ძალა და ტერორისტული პარტიაა. ის ყველგან დესტრუქციულია. გამონაკლისი არც ინტერპარტიული ჯგუფია. გასაკვირია, რომ მას შეთანხმება ჩაეშალა? ეს პარტია ხოცავდა ხალხს ქუჩებში და ათასგვარ სისაძაგლეს კადრულობდა. ვენეციის კომისიამ და ჯანი ბუკიკიომ ვერაფერს მიაღწიეს. ბუკიკიოს ადრეც უთქვამს, რომ ის მხოლოდ რეკომენდატორია. ყველაფერი დამთავრდა ისე, როგორც აწყობდა ნაციონალურ მოძრაობას. საუბედუროდ, მისი კოაბიტაცია „ქართულ ოცნებასთან“ გრძელდება. ბოლო დროს ეს კოაბიტაცია გაფართოვდა და ნაცმოძრაობიდან გამოსული პარტიები მოიცვა.

***– იქმნება პირობები, რომელიც ხელსაყრელია მმართველი პარტიის, ნაცმოძრაობისა და მისი განაყოფებისათვის?***

– ასეა. ამ ძალებს პარლამენტში მრავალპარტიულობა არ სჭირდებათ.

***– ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამ შეუთანხმებლობას დიდ გამოწვევად აფასებს და აცხადებს, რომ ამ საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობას ასეთი საფრთხე ჯერ არ ჰქონია.***

– საპასუხო შეკითხვით მოგმართავთ თქვენც და „ახალი თაობის“ მკითხველსაც – საარჩევნო საკითხებში შეთანხმების არმიღწევა რით უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობას? შევარდნაძის ხელშეწყობით ბალტინის ჯარები რომ შემოვიდნენ, კანონიერი ქურდი რომ სახელმწიფოს ერთ-ერთ მეთაურად გვყავდა, კიტოვანი-სიგუა რომ ანგრევდნენ ქვეყანას, მაშინ არ შეჰქმნია საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე! 2008 წელს რუსეთმა მოახდინა ჩვენი ტერიტორიების ოკუპირება, აღიარა მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველო მაინც დამოუკიდებელ ქვეყნად დარჩა.

***– ეს გადაჭარბებული შეფასებაა?***

– ეს არის იმ კაცის შეფასება, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილზე დაიბოღმა. მაშინ ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ არ ითანამშრომლებდა ნათელაშვილთან. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ლეიბორისტების ლიდერისთვის მკვლელი და ბანდიტი გახდა. მანამდე ის მისთვის მეცენატი და სამშობლოზე გადაყოლილი პატრიოტი იყო. ამიტომ ასახელებდა მას ნათელაშვილი პრემიერობის კანდიდატად.



***– აღნიშნეთ, რომ არსებული სისტემა ხელსაყრელია ძირითადად ორი ძალისათვის. ეს უფრო მეტი სტიმული არ უნდა იყოს პარტიების გაერთიანებისათვის?***

– რა თქმა უნდა. თანამოაზრეები ძალები უნდა გავერთიანდეთ. ერთად უნდა ვიყოთ ისინი, ვინც ევროპულ გაზს ადგას, იცავს ეროვნულ ინტერესებს, ამასთან, ქვეყნისთვის საჭიროდ მიაჩნია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. მესამე ძალას ხალხი ისევ ელოდება. ასეთი გაერთიანება რომ გამოვიდეს, პარლამენტი მრავალპარტიული გახდებოდა, მოხდებოდა ნაცმოძრაობის შევიწროება.

***– ეს არსებული საარჩევნო სისტემითაც შესაძლებელია?***

– შესაძლებელია. 2012 წლის არჩევნების მაგალითი წინ გვაქვს.

***– მანამდე ადგილობრივი არჩევნებია. თბილისის მერობის დასახელებული კანდიდატურებიდან არავის უჭერთ მხარს?***

– ამაზე პარტიაში ვიმსჯელებთ. შესაძლოა, ორგანიზაციას თავისი კანდიდატურა არ ჰყავდეს, მაგრამ სხვადასხვა საკითხზე პოზიცია უნდა ჰქონდეს. მერობის იმ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, რომელიც არ წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას ან მისგან გამოყოფილ პარტიას და იცავს თბილისელების ინტერესებს. თბილისში გვეყოლება საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი. პარტიულ სიებს ბევრ რეგიონში წარმოვადგენთ. ზოგან მერობის კანდიდატებიც გვეყოლება. შეიძლება, მერობის კანდიდატი ბათუმშიც დავასახელოთ.

# ნაციონალური მოძრაობა იმერეთში საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას ბოიკოტს უცხადებს

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ქუთაისში ბრიფინგი გამართეს და იმერეთის მასშტაბით საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების კენჭისყრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.




მათი ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიის თანამდებობის პირები დარღვევებზე არ რეაგირებენ. ნაციონალურ პარტიაში განმარტავენ, რომ საუბნო კომისიის წევრთა სიები შერჩევის გარეშე უკვე არსებობს და კანდიდატები გამგეობასა და „ქართული ოცნების“ შტაბებში შეარჩიეს.

ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, კონკურსიდან არ მოუხსნიათ არც ის 61 პირი, რომელიც წინა არჩევნების შემდეგ დისციპლინურ დევნას დაექვემდებარა.

# ლევან ბერძენიშვილი: „ხელისუფლება მთელი მსოფლიოს წინაშე თავს იჭრის“

ხელისუფლება თავს იჭრის მთელი მსოფლიოს წინაშე, – ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ უმრავლესობის მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განუცხადა, რომელიც საშემოდგომო სესიაზე საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტის დამტკიცებას ითვალისწინებს.



მისივე თქმით, „რესპუბლიკური პარტია“ აღნიშნულ გადაწყვეტილებას აფასებს, როგორც ქვეყნის ავტორიტარიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

– ჩვენ ამას ვაფასებთ, როგორც ქვეყნის ავტორიტარიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს. ცუდი ტენდენციების გაძლიერებას გამოიწვევს, როდესაც არ არის გათვალისწინებული არც ერთი ოპოზიციური პარტიის მოსაზრება. ხელისუფლება თავს იჭრის მთელი მსოფლიოს წინაშე და დგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ნამდვილად არ შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში მმართველი გუნდი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ პროცესს აჯამებს და მიიჩნევს, რომ ოპოზიციის მოქმედებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ კონსენსუსის არარსებობა ოპოზიციის თვითმიზანი იყო.

სწორედ ამიტომ, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებენ საკონსტიტუციო ცვლილებების ორი მოსმენით მიღებულ ტექსტს რედაქციული შესწორებებით.

# ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრნენ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბრიფინგი გაიმართა. ცესკოს სპიკერ ანა მიქელაძის ინფორმაციით, 2 სექტემბერს ახალქალაქში ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჰასმიკ მარანგოზიანის მიმართ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა სამველ პეტროსიანმა და მისმა შვილმა გიორგი პეტროსიანმა (გამგებლის რწმუნებული) განახორციელეს მუქარა.



ოლქის თავმჯდომარეს დაემუქრნენ როგორც საკუთარი სიცოცხლის მოსპობით, ისე ოჯახის წევრის უკანონო თავისუფლების აღკვეთითა და ქონების დაზიანებით, კერძოდ, სახლის დაწვით. საყურადღებოა, რომ ჰასმიკ მარანგოზიანის განცხადებით, აღნიშნული პირების მხრიდან მსგავსი მუქარა მის მიმართ უკვე არაერთგზის განხორციელდა.

ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც პეტროსიანის წარმომადგენელს რამდენიმე პირის ნაცვლად განცხადების შეტანის უფლება არ მისცეს.

ცესკოს ინფორმაციით, სამველ პეტროსიანი გუშინ საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს პაატა ფანჯიკიძესაც დაემუქრა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ფაქტებზე პროკურატურას მიმართავს.

– ცესკო კიდევ ერთხელ მიმართავს არჩევნებში მონაწილე მხარეებს თავი შეიკაონ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში უხეში ჩარევისა და უკანონო ქმედებების განხორციელებისგან, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

# საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სოციალური დახმარება არ შეუწყდებათ

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს (როგორც კონკურსის წესით არჩეულ ისე, უფლებამოსილი პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს), საუბნო კომისიაში მიღებული ანაზღაურების გამო სახელმწიფო დაფინანსება არ შეუწყდებათ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აღნიშნავენ, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანილ პირებს, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად დასაქმდებიან, საარჩევნო კომისიაში მიღებული ხელფასი არ ჩაეთვლებათ ოჯახის ერთობლივ შემოსავალში და არ შეუწყდებათ სახელმწიფო დაფინანსება; ასევე, არ შეუწყდებათ სოციალური პაკეტი პირებს, რომლებიც იღებენ სოციალურ პაკეტს საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.




ცესკოს ცნობით, ანალოგიური წესი ვრცელდება საოლქო საარჩევნო კომისიების დროებით წევრებსა და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ წარმომადგენლებზე.

ზემოაღნიშნული რეგულირდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის და 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

# „ამცახარა“ და რუსლან ლაკერბა აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყებას ითხოვენ

გულიკო ბალაძე

აფხაზეთში არსებული ორგანიზაციის „ამცახარას“ ერთ-ერთი ლიდერი რუსლან ლაკერბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისა და დაახლოების აუცილებლობაზე განცხადებას აკეთებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობებზე საუბრობს.






## ჯემალ გამახარია: „რუსლან ლაკერბას განცხადება მისასალმებელია“

***– ბატონო ჯემალ, რუსლან ლაკერბა ქართველებთან ურთიერთობების აღდგენის ინიციატივით გამოვიდა. არის ეს დადებითი მომენტი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისთვის?***

– დადებითი მომენტი ნამდვილად არის, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი ამას ბედავს. მათ ეკრძალებათ საქართველოს რაიმე დადებით კონტექსტში მოხსენიება, მხოლოდ უნდა ლანძღონ. ადამიანი ლაპარაკობს ურთიერთობის დალაგებაზე. ისინი იმაზე არ საუბრობენ, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს, არამედ საუბარია ურთიერთობების განახლებასა და დიალოგის დაწყებაზე იმისთვის, რომ ჩამოვყალიბდეთ, როგორ ვიცხოვროთ ერთად.

***– ლაკერბა ამბობს, რომ დროა, აფხაზებმა და ქართველებმა დაივიწყონ ის საშინელი წარსული, რასაც ორ ხალხს შორის ჰქონდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და დაიწყონ ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან. სუფთა ფურცლიდან ურთიერთობის დაწყება თქვენ როგორ გესმით?***

– სუფთა ფურცლიდან დაწყება ნიშნავს იმას, რომ არსებობს ორი მხარე – ქართული და აფხაზური. რაც იყო წარსულში, ის ჩაბარდა წარსულს, ჩვენ წინ გვიდევს სუფთა ფურცელი და ამ სუფთა ფურცელზე რასაც ჩავწერთ, როგორ ჩამოვყალიბდებით, როგორ მოვრიგდებით, რაში შევთანხმდებით, ყველაფერი ამ სუფთა ფურცელზე დაიწერება.

აფხაზები ბატონი ლაკერბას პირით გვეუბნებიან, რომ წარსული წავიდა და ახალი ცხოვრება იწყება. ისინი გვთავაზობენ, ვიცხოვროთ ახლებურად, ახალ ვითარებაში და ისტორია სრულიად სუფთა ფურცელზე დავწეროთ. თუ ლაკერბას პოზიცია გახდება აფხაზური მხარის ოფიციალური პოლიტიკა, რასაკვირველია, ქართული მხარე დიდი სიამოვნებით იურთიერთებს.

***– თქვენ თქვით, ისინი გვთავაზობენო. ამ განცხადებაში ამოიკითხეთ, რომ ეს არა მარტო ლაკერბას განცხადებაა, არამედ ამ პოზიციას სხვებიც იზიარებენ?***

– ბატონი ლაკერბას განცხადებას უნდა დაეთანხმოს აფხაზი საზოგადოება. ერთი განცხადება არ ნიშნავს, რომ აფხაზი საზოგადოება ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია. ამიტომ აღნიშნული განცხადება მიმართულია აფხაზი საზოგადოებისკენ. ჯერ ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ – ან უნდა გაიზიარონ, ან არ გაიზიარონ ლაკერბას განცხადების დედააზრი. თუ მთელი აფხაზი საზოგადოება დაეთანხმება ბატონი ლაკერბას განცხადებას, მერე უკვე ქართველი საზოგადოება დიდი სიამოვნებით განიხილავს განცხადებას. ეჭვიც არ მეპარება, რომ დიალოგის დაწყებას წინ არაფერი დაუდგება.

***– ლაკერბა შემთხვევით შეიძლება აკეთებდეს ამგვარ განცხადებას? შეიძლება მას სახელისუფლებო დინებებში მხარს უჭერდნენ?***

– მე ამას ვერც დაგიდასტურებთ, ვერც უარვყოფ. ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ აფხაზ საზოგადოებაში ბევრია ისეთი გავლენიანი პიროვნება, ჯგუფები, რომლებიც მსგავს პოზიციაზე დგანან. რუსეთის პოლიტიკა მათ ძალიან კარგად აქვთ გააზრებული და იციან, რას ნიშნავს რუსული პოლიტიკა აფხაზეთში და აფხაზების მიმართ, რა მოელით ხვალ და ზეგ რუსული პოლიტიკის წყალობით.

***– ანუ აფხაზებმა იციან, რა მოელით მათ რუსებისგან?***

– დიახ. ამიტომ ისინი ფიქრობენ საკუთარ ხალხზე, ზოგადად აფხაზეთზე. ძალიან ბევრი აფხაზი მისულია ინ აზრამდე, რომ საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია. როგორ, რანაირად, ამაზე წინასწარ ვერავინ ისაუბრებს. ადამიანი ამბობს, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთო. ეს მისი მხრიდან საკითხის სწორად დაყენებაა.

***– „ამცახარა“ აქამდეც გამოირჩეოდა ქართველებთან დაახლოების სურვილით, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმი და რუსული მხარე მასზე გავლენას ახდენდა, ლიდერები დაპატიმრებულიც ჰყავდათ. „ამცახარა“ აფხაზეთში რეალური ძალაა, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია?***

– „ამცახარა“ ომის ვეტერანების მიერ არის შექმნილი. ამ ადამიანებს ძალიან უყვართ აფხაზეთი, ბევრს ფიქრობენ და აანალიზებენ. მათ შედარებით რბილი პოზიცია აქვთ ქართველების მიმართ.

***– მაინც?***

– არ მინდა, ეს ქართველმა საზოგადოებამ არასწორად გაიგოს. „ამცახარა“ აფხაზეთის „დამოუკიდებლობაზე“ კი არ ამბობს უარს, არამედ ამბობს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა უნდა დაალაგონ, მტრის ხატის პრობლემა, მტრობა, შუღლი უნდა მოისპოს და ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ, დავივიწყოთ წარსული, ომი, უბედურება და დავიწყოთ ურთიერთობა ახალი ფურცლიდან.

ამაზე ბევრი არ მოდის. თითქოს ჩვეულებრივი განცხადებაა, განსაკუთრებული არ არის, მაგრამ აფხაზეთში ამგვარი შინაარსის განცხადება გარღვევასავით გაჟღერდა. იქ ადამიანები ვერ ბედავენ ასეთი წინადადების წამოყენებას. რაღაც მსგავსი თქვა ზურაბ აჩბამ თავის დროზე და ამისთვის მოკლეს.

***– ლაკერბასაც საფრთხე ემუქრება?***

– რა მოელის ამ ადამიანს, არ ვიცი, მაგრამ დღეს სულ სხვა ვითარებაა, ვიდრე მაშინ, როცა ზურაბ აჩბა მოკლეს. აფხაზეთში ქართველების მიმართ არსებული განწყობის ფონზე ლაკერბა აყენებს ამგვარ წინადადებას, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

***– „ამცახარა“ ძლიერი ორგანიზაციაა?***

– „ამცახარა“ აფხაზეთში საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციაა. როცა ანქვაბი ხელისუფლებაში იყო, მაშინ ეს პარტია ხელისუფლებაში გახლდათ.

***– ჩვენ წლების განმავლობაში ვცდილობდით აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლებთან თუნდაც სახალხო დიპლომატიის კუთხით ურთიერთობების დამყარებას. აღნიშნული განცხადება საშუალებას იძლევა, ამ მხრივ რაღაც გაკეთდეს?***

– რასაკვირველია, ეს განცხადება სახალხო დიპლომატიისთვისაც გარკვეულ პირობებს ქმნის. სახალხო დიპლომატია შეიძლება გააქტიურდეს. თუ ამ წინადადებას აფხაზი საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც მოიწონებს, ამან შეიძლება სათავე დაუდოს მოლაპარაკებებს პოლიტიკურ პარტიებსა და თვით დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, მაგრამ აქამდე ჯერ ძალიან შორსაა.

***– როგორც ვიცი, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ქართველები თავიანთი ნათესავების, ახლობლების, ოჯახის წევრების საფლავებზე შეეშვათ და საფლავები მოეწესრიგებინათ. პირველ ეტაპზე ეს საკითხი თუ გადაწყდება, ურთიერთობის აღდგენას ხელს არ შეუწყობს?***

– რა თქმა უნდა. საფლავების მონახულების მუდმივი მოლოდინი ძალიან მტკივნეული პრობლემაა. ჩვენი დევნილი მოსახლეობა ამას 1992-93 წლებიდან ითხოვს. აფხაზეთიდან დევნილებს ამ დროიდან ახლობლების საფლავებზე ფეხი არ დაუდგამთ. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართველთა საფლავები აფხაზეთში მოუვლელია. ეს ჰუმანიტარული საკითხი და პრობლემაა, რომელსაც სახალხო დიპლომატიის გააქტიურება ხელს შეუწყობს. ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის ნორმალიზება ასეთი საკითხებით უნდა დაიწყოს. თუ ეს საკითხები არ იქნება გადაწყვეტილი, უფრო დიდი საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება.

# საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხანძარი 35-ჯერ გაჩნდა



საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხანძარი 35-ჯერ გაჩნდა. პირველი შეტყობინება ხანძრის შესახებ 7 აგვისტოს თბილისიდან შევიდა. დიდ დიღომში, გუდვილთან ცეცხლი საბურავებსა და ბალახს გაუჩნდა. ხანძრის ლოკალიზება მალევე მოხერხდა.

შედარებით გართულდა მუშაობა 8 აგვისტოს მთაწმინდაზე, სადაც ცეცხლი მთაწმინდის ფერდობზე ტყის მასივს გაუჩნდა.

**10 აგვისტოს** ხანძარი გაჩნდა შიდა ქართლში, სოფელ შავშებთან. ცეცხლი გამხმარ ბალახს ეკიდა.

**11 აგვისტოს** ავჭალაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, 1 ჰექტარი დაიწვა. ცეცხლი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა.

**12 აგვისტოს** ცეცხლი გარდაბანში დაცულ ტერიტორიაზე გაჩნდა. დაიწვა 500 კვადრატული მეტრი, მათ შორის, ხეები და ბუჩქები.

**13 აგვისტოს** შეტყობინება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში მესტიიდან შევიდა. ცეცხლი მესტიის ტყეში გაჩნდა.

რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ 20 აგვისტოს ხანძარი რამდენიმე ადგილას ერთდროულად გაჩნდა.

დილიდან შეტყობინება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან შევიდა. ცეცხლი ჰექტარ-ნახევარ ფართობზე გავრცელდა.

ასევე **20 აგვისტოს** ხანძარი იყო დაბა სურამსა და ამბროლაურის რაიონის სოფელ ჩორჯოში.

სწორედ **20 აგვისტოს** დაიწყო ხანძარი ბორჯომში. ცეცხლი წაღვერის ტყეში 20 აგვისტოს გაჩნდა. ის თავდაპირველად 500 კვადრატულ მეტრზე იყო გავრცელებული, თუმცა მისი ჩაქრობა 6 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა, რის გამოც უნიკალური ტყის 100 ჰექტარზე მეტი დაიწვა.

**21 აგვისტოს** ხანძრის შესახებ შეტყობინება ისევ თბილისიდან შევიდა. ცეცხლი დიღმის მასივის მეორე კვარტალში 5 ათას კვადრატულ მეტრზე გავრცელდა.

**22 აგვისტოს** ცეცხლი გაჩნდა ატენის ხეობასა და ჟინვალში. საბოლოო ჯამში, დაახლოებით, 3 ჰექტარი ტერიტორია დაიწვა. სწორედ ამ ხანძრის გამო სამაშველო ოპერაციაში ჯარის ჩართვა გახდა საჭირო.

**22 აგვისტოს** ხანძარი იყო გლდანის ხევშიც. ცეცხლი ბალახს მოედო.

**23 აგვისტოს** ხანძარი გაჩნდა დუშეთის ტყეში, თუმცა მისი ლოკალიზება მალევე მოხერხდა.

ასევე **23 აგვისტოს** – დედოფლისწყარო-გამარჯვების მონაკვეთზე ცეცხლი აღებული ხორბლის ნარჩენებს გაუჩნდა და დაახლოებით 2 ჰექტარზე გავრცელდა.

რამდენიმე ადგილას ერთდროულად გაჩნდა ცეცხლი **24 აგვისტოსაც.** წეროვანში ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლი ბალახს მოეკიდა.

ასევე **24 აგვისტოს** ხანძარი იყო პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში. ცეცხლი ნახევარ ჰექტარ მიწის ფართობზე იყო გავრცელებული.

**25 აგვისტოს** ხანძარი გაჩნდა ახალციხეში, სოფელ ურვალეთში. დაიწვა ერთ ნახევარი ჰექტარი ტერიტორია.

**28 აგვისტოს** ახალციხეში, ამჯერად, სოფელ სვირში, ხანძარი გაჩნდა. მის ჩაქრობას მეხანძრე მაშველები ორი დღის განმავლობაში ცდილობდნენ. ხანძრის ჩაქრობის ოპერაციაში ავიაცია ჩაერთო.

**29 აგვისტოს** ცეცხლი აბასთუმნის ტყეში გაჩნდა. ტერიტორია ამჯერადაც მიუვალი აღმოჩნდა და ცეცხლის ჩაქრობა რამდენიმე დღე ვერ მოხერხდა. ბორჯომის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მეზობელი ქვეყნების დახმარება გახდა საჭირო.

# გორის ძაღლების თავშესაფრის მუშაობა საკრებულოს სხდომაზე დადებითად შეაფასეს

„ღამის 12 საათზე რომ ბავშვს ძაღლი უკბენს, რა ქნას თამარ აფციაურმა?“ – განაცხადა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა დავით წეწვაძემ საკრებულოს სხდომაზე, სადაც „გორის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის“ ხელმძღვანელ თამარ აფციაურის მოხსენებას ისმენდნენ.

მისი თქმით, საკუთარ უბანში, „წყაროსუბანში“, ავი ძაღლი ვერ დაიჭირეს.

– ჩვენ უბანში ერთი ავი ძაღლია. დავურეკე თამარ აფციაურს. სამი საათი სდიეს, ვერ იჭერდნენ. დამჭერი არა აქვთ ნორმალური. საჭიროა, დასაძინებელი თოფი ჰქონდეთ, – თქვა დავით წეწვაძემ.

ამავე პარტიის წარმომადგენელმა ზაზა ზაზაშვილმა განაცხადა, რომ „ახალბაღის“ ტერიტორიაზე ე.წ. ბირკიანმა ძაღლმა პატარა ბავშვს უკბინა.

„რა ქნას თამარ აფციაურმა?“ – კვლავ ჩაერია დავით წეწვაძე. „ქართული ოცნების“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ლია ჩლაჩიძემ მიუსაფარ ძაღლების თავშესაფრის ხელმძღვანელს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან პასიური მუშაობის შესახებ კითხვა დაუსვა:

– რატომ არ ეძებთ დონორებს? შეიძლება გაქვთ ან არ გაქვთ პროექტები წარდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მე ეს არ ვიცი და თუ გაქვთ, ჩაგვაყენეთ საქმის კურსში. ჩვენ რამდენი დაფინანსებაც არ უნდა მოგცეთ, მაინც არ გეყოფათ ეს თანხა, როგორც თქვენ საუბრობთ, – განაცხადა ლია ჩლაჩიძემ.

ძაღლების თავშესაფრის დირექტორი თამარ აფციაური აცხადებს, რომ მიმდინარე წელს დაფინანსება 97.000 ლარი აქვთ. სამუშაოზე დასაქმებული ჰყავთ ხუთი ადამიანი, აქედან ორი ძაღლების დამჭერია. ერთი თანამშრომელი გაუშვეს, რადგან ვერ შეძლო მუშაობა.

– ჩვენ ვერ მოვიძიებთ დონორებს, ჩვენ ვექვემდებარებით მერიას. ჩვენი დაფინანსების პირობებში რასაც ვაკეთებთ, შეგიძლიათ, მოხვიდეთ თავშესაფარში და ნახოთ ჩვენი მდგომარეობა, – აცხადებს თამარ აფციაური.

მისი განმარტებით, მწირი ბიუჯეტის პირობებში შეუძლებელია პრობლემის მოგვარება, რადგან რაიონებიდან ძაღლები ქალაქში მიჰყავთ და ტოვებენ.

ასევე აღნიშნავს, რომ აუცილებელია რეგულაციები, მაგალითად, მოხდეს ძაღლების აღრიცხვა, რის შედეგადაც ქუჩაში გაშვებული ძაღლის პატრონის ამოცნობა ადვილი შესაძლებელი იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს პრობლემა რეგიონალურ დონეზე უნდა გადაწყდეს, რადგან ქალაქ გორში ძაღლები სხვა რაიონებიდან მიჰყავთ და ტოვებენ. „აქ კი აღვრიცხავთ, მაგრამ სხვა რაიონიდან რომ ჩამოიყვანენ, იმას როგორ გავიგებთ, ვისია“, – აცხადებს ზურაბ როსებაშვილი.

საკრებულოს წევრი თამარ თედლიაშვილი იხსენებს, რომ გორის მერი რამდენიმე თვის წინ რეგიონული თავშესაფრის გაკეთებაზე საუბრობდა:

– გვითხრა მერმა, რომ მიმდინარეობს მუშაობა რეგიონალურ თავშესაფარზე, რაც არ განხორციელდა. ასევე, ვითხოვდი დაფინანსების გაზრდას, მაგრამ არც ეს გააკეთეს, – აღნიშნა თედლიაშვილმა.

საბოლოო ჯამში, კრება მხიარულად დამთავრდა. საკრებულოს წევრებმა რამდენიმე ამბავი, ძაღლებისგან დაკბენის შესახებ, მხიარულად გაიხსენეს.

თავშესაფრის ხელმძღვანელის ანგარიში, ორი კვარტლის მუშაობის თაობაზე, დადებითად შეაფასეს.

აღნიშნული ანგარიში შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა ერთი კვირის წინ გამოაქვეყნა.

**ქართლი.გე**

# მაკეინის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნებას ცდილობდა



**დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი პოლ მანაფორტი ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთს სხვადასხვა პოლიტიკური პროექტის განხორციელებაში ეხმარებოდა როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოსა და ჩერნოგორიაში, – ნათქვამია გავლენიან ამერიკულ გამოცემა „The Wall Street Journal"-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ ბრეტ ფორესტის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს:**

გაზეთის პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ექსმრჩევლის პოლ მანაფორტის კომპანიის სამი პროექტი რუსეთის ინტერესებს შეესაბამებოდა და ყველა ისინი პროექტი რუს ოლიგარქს – ოლეგ დერიპასკას და მის გარემოცვას უკავშირდება.

სტატიის ავტორს ინფორმაცია მიაწოდა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა კონსულტანტმა ფილიპ გრიფინმა, რომელიც პოლ მანაფორტის ფირმასთან თანამშრომლობდა და ბევრი რამ იცოდა მისი საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, მანაფორტის კომპანიის მოღვაწეობაზე ისაუბრეს აგრეთვე აშშ-ის ყოფილმა ელჩებმაც საქართველოში, უკრაინასა და ჩერნოგორიაში.

როგორც The Wall Street Journal-ის ჟურნალისტი წერს, კომპანიის საქმიანობა შედარებით უფრო მასშტაბური იყო „თავისი მოცულობით და ამბიციებით", ვიდრე ამის თაობაზე ადრე იცოდნენ. სტატიით ირკვევა, რომ ხშირად პოლ მანაფორტს კონტაქტები ჰქონდა რუს ოლიგარქ ოლეგ დერიპასკასთან და მის გარემოცვასთან. პუბლიკაციის ავტორის მტკიცებით, ოლეგ დერიპასკას საკმაოდ მტკიცე კავშირები აქვს უცხოელ პოლიტიკოსებთან და „მისი გეგმები ხშირად ემთხვეოდა ვლადიმერ პუტინის საგარეო პოლიტიკურ გეგმებს.

პოლ მანაფორტი თავის პოლიტკონსალტინგურ კომპანიას (DMP _ Davis Manafort Partners) რიკ დევისთან ერთად მართავდა, რომელმაც, თავის მხრივ, 2008 წელს სენატორ ჯონ მაკეინის საპრეზიდენტო საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად ყოფნაც მოასწრო.

DMP-ის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა კონსულტანტმა The Wall Street Journal-ის სტატიის ავტორს აცნობა, რომ 2004 წლის დასაწყისში ოლეგ დერიპასკას ერთ-ერთმა პარტნიორმა ნათანიელ როტშილდმა (ბრიტანელი ბიზნესმენების ოჯახის შთამომავალმა) რიკ დევისი მოსკოვში, რუსი ოლიგარქის კომპანიის „საბაზო ელემენტის" ოფისში მიიწვია, სადაც მან სტუმარს საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძე გააცნო. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნების გეგმის შემუშავება, თანაც მისი დაბრუნება საკმაოდ მნიშვნელოვან პოზიციაზე უნდა მომხდარიყო. შეხვედრა მოხდა „ვარდების რევოლუციიდან" მცირე ხნის შემდეგ, როცა საქართველომ აქტიური პროდასავლური პოლიტიკის გატარებას იწყებდა. ნათანიელ როტშილდს განზრახული ჰქონდა საქართველოში ინვესტიციების ჩადება (მევენახეობის დარგში) და როცა ინვესტიციას განახორციელებდა, იგი საქართველოს მთავრობას თხოვნას წარუდგენდა, რათა ნება დაერთოთ იგორ გიორგაძისთვის სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნებაზე.

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ იგორ გიორგაძე 1995 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზებაში დაადანაშაულა. მან თავი მოსკოვს შეაფარა, საიდანაც საქართველოში შექმნილ პრორუსულ პარტიას ხელმძღვანელობდა.

2003 წლის ბოლოს საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ქვეყნის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, რომელსაც კრემლისაგან დისტანცირებული პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მხარი დაუჭირა მის ასეთ კურსს.

– 2004 წლის ბოლოს ნათანიელ როტშილდისა და რიკ დევისის კიდევ ერთი შეხვედრა უკვე თბილისში განხორციელდა: მათ ერთად ივახშმეს საქართველოს ახალ პრეზიდენტთან, თუმცა წარუმატებლად – მიხეილ სააკაშვილმა მათი გეგმები დაამსხვრია. შესაბამისად, როტშილდ-დევისის პროექტის რეალიზება გადაიდო, – ნათქვამია სტატიაში, ზემოთ ხსენებულ პოლიტიკურ კონსულტანტთან საუბრიდან გამომდინარე.

ამერიკელმა დიპლომატმა კენეტ იალოვიცმა, რომელიც 1998-2001 წლებში აშშ-ის ელჩი იყო საქართველოში და ამჟამად ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში მუშაობს და კონფლიქტების მოგვარების პროგრამებს ხელმძღვანელობს, The Wall Street Journal-ს განუცხადა, რომ „იგორ გიორგაძე, თუ იგი სამშობლოში დაბრუნდებოდა, რუსეთის მიმართ ლოიალურად იქნებოდა განწყობილი და მოსკოვის თვალში სანდო ქვეშევრდომის სახელს დაიმსახურებდა, დასავლურ კურსს მხარს არ დაუჭერდა".

ამ საკითხზე კომენტარის მიღება ნათანიელ როტშილდისაგან The Wall Street Journal-მა ვერ შეძლო. გაზეთისათვის შეკითხვისათვის პასუხი არ გაუცია არც თვითონ რიკ დევისს და არც იგორ გიორგაძის ადვოკატს გაგი მოსიაშვილს. კომენტარზე უარი თქვა მიხეილ სააკაშვილმაც. როგორც პოლ მანაფორტის პრეს-მდივანმა ჯეისონ მელონიმ განაცხადა, DMP კი მონაწილეობდა ამ ქართულ პროექტში, მაგრამ თვით შეფი მასში არანაირ როლს არ ასრულებდაო.

ინკოგნიტო პოლიტიკური კონსულტანტის თქმით, ქართული პროექტის ჩავარდნის შემდეგ DMP უკრაინაზე გადაერთო, სადაც საქმე კვლავ ოლეგ დერიპასკასთან დაიჭირა, ამჯერად უკვე იმ პარტიის მხარდაჭერისათვის, რომელიც პრორუსულად იყო განწყობილი.

როგორც ცნობილია, 2004 წლის ნოემბერში, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩმა გაიმარჯვა, მაგრამ მისი კონკურენტის ვიქტორ იუშენკოს მომხრეებმა ჩათვალეს, რომ არჩევნები გაყალბდაო და საპროტესტო გამოსვლები დაიწყეს, მოგვიანებით „ნარინჯის რევოლუციად" წოდებული.

პოლიტკონსულტანტი ფილიპ გრიფინი, რომელიც საქართველოშიDMP-სთან თანამშრომლობდა, The Wall Street Journal-ის ჟურნალისტს უყვება, რომ რიკ დევისმა იგი, თბილისიდან აშშ-ში დაბრუნების წინ, უკრაინაში გაგზავნა ნათნიელ როტშილდისა და ოლეგ დერიპასკას დასახმარებლად (ანუ რუსეთის სასარგებლოდ). ფილიპ გრიფინი დაუკავშირდა დონბასელ ფოლადისა და ქვანახშირის მაგნატს რინატ ახმეტოვს, რომელსაც კრემლთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. ამის შესახებ უკვე საქმის კურსში თვით პოლ მანაფორტიც იყო. ვიქტორ იუშენკოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ („ნარინჯის რევოლუციის" შედეგად) რინატ ახმეტოვი დაყაბულდა DMP-სათვის 10 მილიონი ევრო გადაეხადა იმ მიზნით, რომ DMP-ის დახმარებით თავისი კომპანია System Capital Management (SCM) დასავლეთისათვის მიმზიდველი გაეხადა.

გარდა ამისა, როგორც აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ყოფილი ჩინოვნიკი სტატიის ავტორს უყვება, მოგვიანებით პოლ მანაფორტი პრორუსულად განწყობილ ვიქტორ იანუკოვიჩს და მის პარტიას დასავლეთთან კავშირების გაბმაში ეხმარებოდა.

რაც შეეხება ჩერნოგორიას, ამ ქვეყანაში პოლ მანაფორტის კომპანია ოლეგ დერისპასკას ალუმინსადნობი კომბინატისა და ბოქსიტების საბადოს შესყიდვაში დაეხმარა, – ნათქვამია სტატიაში. DMP მის ინტერესებს ლობირებდა ჩერნოგორიის ხელისუფლებაში. თუმცა, როგორც სერბეთსა და ჩენროგორიაში აშშ-ის ყოფილი ელჩი მაიკლ პოლტი ამბობს, საბოლოო ჯამში ოლეგ დერიპასკას ჩერნოგორიიდან წასვლა მოუწია, არჩევნებში პროდასავლური პოლიტიკური ძალების გამარჯვების შემდეგ.

# „მხოლოდ ერთი კი არა, ყველა მხარე უნდა ყოფილიყო მოქნილი"



ვენეციის კომისიის მდივანი ტომას მარკერტი ხელისუფლების მიერ გავრცელებულ იმ განცხადებას აფასებს, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო უმრავლესობა საშემოდგომო სესიაზე საკონსტიტუციო ცვლილებებს დაამტკიცებს:

– ვენეციის კომისია ამ მოლაპარაკების ნაწილი არ იყო. რაც საქართველოდან შევიტყვე, არის ის, რომ კონსენსუსი მიღწეული არ არის. მმართველი პარტიის დღევანდელი განცხადებაც ამას ადასტურებს. ჩვენთვის დასანანია, რომ ასეა. მხოლოდ ერთი კი არა, ყველა მხარე უნდა ყოფილიყო მოქნილი. ჩვენ ველით, რომ მოგვმართავენ თხოვნით, შევაფასოთ მიღებული ტექსტი.

ვენეციის კომისია საკუთარ მოსაზრებას 6 ოქტომბერს გამოაქვეყნებს. შესაძლოა ამას მოყვეს გარკვეული შეზღუდული ცვლილებები, რომ ტექსტი გახდეს უფრო მოქნილი ოპოზიციისთვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მმართველი პარტია არ გამორიცხავს გარკვეული ცვლილებების შეტანას. ამისთვის ადგილი ყოველთვის უნდა არსებობდეს. რაც შეეხება მომავალ კვირას დაგეგმილ შეხვედრას, მას ასეთი მცირე კონსენსუსის პირობებში აზრი არ ექნება, – განაცხადა ტომას მარკერტმა.

# გიორგი აბაშიშვილი: „მმართველ გუნდს მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კონსტიტუციის მიღების პროცესი და დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს"

– მოვუწოდებთ მმართველ პოლიტიკურ გუნდს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კონსტიტუციის მიღების პროცესი საქართველოს პარლამენტში, განეწყოს კონსენსუსისთვის და დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს, – აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი აბაშიშვილმა მმართველი გუნდის მიერ დღეს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა.



– ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ვამბობდით, რომ კონსტიტუციის მიღება კონსენსუსის გარეშე იყო შეუძლებელი, წარმოუდგენელი და ასეთი ტიპის კონსტიტუციას ექნებოდა ლეგიტიმაციის პრობლემა, შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ მმართველ პოლიტიკურ გუნდს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პროცესი საქართველოს პარლამენტში. ვგულისხმობთ კონსტიტუციის მიღების პროცესს, განეწყოს კონსენსუსისთვის და დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რასაც 9-10 თვის წინ ვამბობდით, რომ ფართო კონსენსუსის გარეშე საქართველოს კონსტიტუციას ექნება სერიოზული ლეგიტიმაციის პრობლემა, – განაცხადა აბაშიშვილმა.

# აზერბაიჯანული პრესა: „ნატო რუსეთის საზღვრებთან ისევ კუნთებს ათამაშებს"

– როგორც ჩანს, დასავლეთის ექსპანსიონისტურ გეგმებში ნატოსათვის საქართველო პლაცდარმად გადაიქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის გასაძლიერებლად. ჯერ კიდევ არ გაცივებულა იმ ქვემეხების ლულები, რომლებითაც საქართველოში 30 ივლისს ჩატარებული სამხედრო წვრთნების დროს ისროდნენ, რომ უკვე ისევ დაიწყო იარაღის ჟღარუნი რუსეთის საზღვრებთან. როგორც პენტაგონი იუწყება, სამხედრო წვრთნებში კოდური სახელწოდებით Agile Spirit 500 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. გარდა ამისა, იქვე იქნება ათასამდე ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ბულგარელი, ლატვიელი, რუმინელი და უკრაინელი სამხედროებიც, – ამის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი.



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

– სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ დასავლეთი ყოველთვის ნეგატიურად აღიქვამს რუსეთის არმიის სწავლებებს, რომლებიც თვით რუსეთის ტერიტორიაზე ტარდება. რაც შეეხება მანევრებს, რომლებიც ბელორუსიაში მიმდინარეობს. ამის შესახებ მოსკოვმა ეუთო საქმის კურსში ჩააყენა. განსხვავება ისაა, რომ დასავლეთს და ნატოს რუსეთი არასოდეს არ ჩაუყენებიათ საქმის კურსში საკუთარ სამხედრო მანევრებთან მიმართებით.

გარდა ამისა, ალიანსი ცდილობს რაც შეიძლება მეტი წვრთნები გამართოს ნატოს არაწევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ნატოს სამხედრო ბაზები თითქმის მთელ მსოფლიოშია მოფენილი.

საინტერესოა, ვის წინააღმდეგაა მიმართული ნატოს მიერ ბალტიისპირეთსა და საქართველოში შექმნილი ე.წ. სასწავლო ცენტრები, სინამდვილეში კი სამხედრო ბაზები?

და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, სამხედრო სწავლებებში კვლავ მონაწილეობს სომხეთი, ქვეყანა-აგრესორი, რომელსაც აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ სომხეთი „ოდკბ"-ს წევრია. თუმცა გასაკვირი არაა, რადგან სომეხი ნაციონალისტების პოზიცია „თქვენებსაც და ჩვენებსაც" საყოველთაოდ ცნობილია.

თუ 30 ივლისის სწავლებებში მონაწილეობისათვის სომხეთმა როგორღაც თავი იმართლა, ახლა უკვე ეს მოსკოვისათვის გამოწვევა უნდა იყოს და ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს: აბა, როგორ – რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ წრთვნებში მონაწილეობს!

ნატო და აშშ თავს შორს იჭერენ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისაგან, არადა, ვაშინგტონი მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეა. ამასთან, ამერიკა აქტიურად მხარს უჭერს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ანუ სახეზეა ამერიკის ორმაგი სტანდარტი კონფლიქტების შეფასებაში. მაშ, რატომ მონაწილეობს აზერბაიჯანი ამ წვრთნებში, რაში გვჭირდება? დასავლეთი მხედველობაშიც კი არ იღებს იმ ფაქტს, რომ ნატოს ავიაცია აზერბაიჯანის საჰაერო სივრცით სარგებლობს, ავღანეთისაკენ ფრენის მიზნით. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა ტვირთების გადასროლაშიც მონაწილეობს, ავღანეთში გზავნის თავის ჯარისკაცებს... შედეგად კი რას ვღებულობთ? ამერიკა სომხეთს სამხედრო წვრთნებში იწვევს.

მოკლედ, აზერბაიჯანმა უპირველესად თავისი ეროვნული ინტერესები უნდა დაიცვას და არ უნდა ჩაერთოს ნატოსა და დასავლეთის გეოპოლიტიკურ და სამხედრო ავანტიურაში.

# ხორცპროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად ცხოველთა რეესტრი იქმნება

2018 წლის პირველი იანვრიდან საქონელს, რომელიც საყურე ნიშნებით იდენტიფიცირებული არ იქნება, სასაკლაოები აღარ დაკლავენ.

აღნიშნულს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ახალი სისტემა გულისხმობს.

როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციალისტი, ალექსანდრე ქაშიაშვილი აცხადებს, ახალი რეგულაციის მიზანია, ერთი მხრივ, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ხარისხის გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ, ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებების რისკის მინიმუმამდე დაყვანა.



– პირველი იანვრიდან არაიდენტიფიცირებული საქონელი, ანუ ის მსხვილფეხა საქონელი (ძროხა, კამეჩი), რომელსაც ყურზე საყურე ნიშნები არ ექნება, სასაკლაოზე ველარ დაიკვლება. შესაბამისად, ამგვარ ხორცზე ვერ მოხდება ნიშანდება და ვერ გაიცემა ფორმა №2, რომლის გარეშეც ცხოველის პატრონი ბაზრებსა და მაღაზიებში ხორცის რეალიზებას ველარ შეძლებს. ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ ბაზარზე მოხვდება მხოლოდ 100%-ით შემოწმებული, შესაბამის ჰიგიენურ-სანიტარიულ პირობებში დაკლული ხორცი. რაც პრაქტიკულად მინიმუმამდე დაიყვანს ზოონოზური, ანუ ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებების რისკს, – აღნიშნავს ქაშიაშვილი.

მისივე თქმით, საქართველო 2017 წლიდან ეტაპობრივად გადადის ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ახალ, გაუმჯობესებულ სისტემაზე. მომდევნო 5 წლის მანძილზე შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, ავსტრიის განვითარების სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო პროგრამას ჯამში 5 მილიონი დოლარით დააფინანსებს.

– განახლებულ სისტემას გაცილებით მეტი შესაძლებლობა და მიკვლევადობის უფრო მაღალი დონე ექნება. ის შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორც ცხოველთა რეესტრი, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია თავად ცხოველის, მისთვის ჩატარებული ვაქცინაციისა და მკურნალობის შესახებ, ასევე გეოგრაფიული არეალი საიდან მოდის ცხოველი და საბოლოოდ, რომელ სასაკლაოზე და რა ასაკშია დაკლული. სისტემა საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ სრული ციკლი, რაც გულისხმობს სახელმწიფო კონტროლს ფერმიდან ჩანგლამდე, – განაცხადა ქაშიაშვილმა.

# ქუთაისის აეროპორტის ახალ ტერმინალს „ანაგი“ ააშენებს



ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ახალ ტერმინალს შპს „ანაგი“ ააშენებს.

კომპანიასა და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ შორის ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. როგორც ხელშეკრულებაშია აღნიშნული, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 26.423.967.74 ლარია. მაშინ, როცა სატენდერო პირობების მიხედვით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 23.305.085 ლარი, ხოლო „ანაგის“ მიერ ტენდერის ფარგლებში შეთავაზებული თანხა 22.393.193 ლარი იყო.

ხელშეკრულება 2019 წლის 31 იანვრამდეა ძალაში. ტენდერის პირობების მიხედვით, კონსტრუქციულ ნაწილზე გარანტიად არანაკლებ 20 წელი; ხოლო სამუშაოს შესრულების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 140 კალენდარული დღეა განსაზღვრული.

ქუთაისის აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობისთვის ტენდერი 26 ივლისს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ გამოაცხადა, წინადადებების მიღება კი 17 აგვისტოს დასრულდა.

შპს „ანაგის“ გარდა, ტენდერში მონაწილეობა მიიღეს ასევე შპს „დაგიმ“ და „თავ მშენებლობა საქართველო და კომპანია ბლექ სი გრუპიმ“, თუმცა ტექნიკური დოკუმენტაციის გამო მათი დისკვალიფიკაცია მოხდა.

# რატომ აღარ იყიდება „კარფურში“ „ბორჯომისა“ და „სოფლის ნობათის“ პროდუქტები?

სუპერმარკეტ „კარფურის“ ფილიალებში უკვე ერთი თვეა, „ბორჯომისა“ და „სოფლის ნობათის“ პროდუქტები აღარ იყიდება.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ მოქალაქეებმა აცნობეს.




– უკვე ერთი თვეა, „კარფურის“ ქსელში „ბორჯომისა“ და „სოფლის ნობათის“ პროდუქტები აღარ არის. მათ საყიდლად კიდევ სხვა მაღაზიაში მიწევს სიარული, რაც დიდი დისკომფორტია. „კარფურის“ პერსონალი კი ვერასდროს მპასუხობს, რატომ არ აქვთ აღნიშნული პროდუქტები და სულ იმას მეუბნებიან, რომ გათავდა, – აღნიშნა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

კომპანია „ბორჯომში“ დაადასტურეს, რომ მართლაც ერთი თვეა, მათი პროდუქტი აღნიშნულ სუპერმარკეტს აღარ მიეწოდება.

კომპანიის ცნობით, სავაჭრო ქსელთან არსებული ხელშეკრულება გაუქმდა და ამ ეტაპზე მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. კომპანიაში ვერ აკონკრეტებენ, თუ როდის შეეძლებათ მოქალაქეებს სუპერმარკეტში მათი პროდუქტის შეძენა და აღნიშნავენ, რომ ეს მოლაპარაკების დასრულებაზეა დამოკიდებული.

– გიდასტურებთ, რომ „კარფურის“ ქსელს უკვე ერთი თვეა, ჩვენი პროდუქცია არ მიეწოდება. ამ ეტაპზე „ბორჯომისა“ და „კარფურის“ ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და იმედს ვიტოვებთ, რომ შეთანხმებას მივაღწევთ, – აცხადებენ კომპანია „ბორჯომში“.

# ბანკებისა და მათთან დაკავშირებული კომპანიების ობლიგაციები სესხების უზრუნველყოფაში აღარ ჩაიდება

ბანკებისა და ბანკებთან დაკავშირებული კომპანიების ობლიგაციები სესხების უზრუნველყოფაში აღარ ჩაიდება. ცვლილება „სესხების უზრუნველყოფის სახეობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილებაში შევიდა. ინფორმაციას კომერსანტი ავრცელებს.




ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დაზუსტდა სესხის უზრუნველყოფის სახეობები, რომელსაც წარმოადგენს: საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები.

# ივლისში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 228.4 მლნ ლარით გაიზარდა

ივლისში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 228.4 მლნ ლარით (2.9 პროცენტით) გაიზარდა და 8.13 მლრდ ლარს გაუტოლდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა ივლისში 8.9 მლნ აშშ დოლარით (0.2 პროცენტით) შემცირდა და პერიოდის ბოლოს 4.69 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 56.8 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 85.5 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს. მთლიანი სესხების 57.1 პროცენტს შეადგენს სესხები უცხოური ვალუტით.

უცხოური ვალუტით დაკრედიტების კლება, ძირითადად მოკლევადიანი დაკრედიტების შემცირებით არის გამოწვეული.



# ბაკურიანში ყინულის ახალი მოედანი მოეწყობა



ბაკურიანში ყინულის მოედნის მოსაწყობად წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონცეპტუალური პროექტის მოსამზადებლად ინტერესთა გამოხატვაა გამოცხადებული.

საქართველოს მთავრობამ საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თანხა 11 აგვისტოს გამოყო. ინტერესთა გამოხატვა 25 აგვისტოს დაიწყო და 11 სექტემბერს დასრულდება.

როგორც დოკუმენტაციაშია აღნიშნული, საკონსულტაციო მომსახურება ითვალისწინებს საინჟინრო-საპროექტო მომსახურების გაწევას.

მუნიციპალური განვითარების ფონდი აღნიშნავს, რომ პროექტი უნდა მოიცავდეს ყინულის მოედანს, რომელზეც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ჩატარება წლის ნებისმიერ მონაკვეთში.

გამოხმაურება

# სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადება

ბოლო დღეებში სოციალურ ქსელსა და ზოგიერთ მედიასაშუალებაში სოციალური მომსახურების სააგენტოს აშკარა დისკრედიტაცია მიმდინარეობს, რასაც მიზანმიმართული კამპანიის ხასიათი აქვს. სააგენტოს არაერთხელ გაუკეთებია განმარტება სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების შინამეურნეობების გადამოწმების მეთოდოლოგიაზე, ფულადი სოციალური დახმარების გაცემის ადმინისტრირებასა და ყველა სიახლეზე, რომელიც ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების საკითხს ეხება. ზოგ შემთხვევაში მოქალაქეთათვის მართლაც რთულად აღსაქმელია პროგრამის ცალკეული დეტალი, სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ, კიდევ ერთხელ განვმარტოთ პროგრამის არსი.

2015 წლის მაისიდან სოციალურად დაუცველთა შეფასების მეთოდოლოგია შეიცვალა. ცვლილება შეეხო დეკლარაციაში მოცემულ ცვლადებს ანუ საინფორმაციო მონაცემებს, რომელიც ოჯახის მიერ ივსება, შეიცვალა ამ ცვლადების (მონაცემების) გავლენა ქულის ზოგადი დაანგარიშებისას. მაგალითად, ოჯახის შრომისუნარიან წევრს ან კომუნალურ გადასახადს მეტი გავლენა აქვს ქულის ფორმირებისას, ვიდრე ძველ მეთოდოლოგიაში ჰქონდა. ასევე შეიცვალა ადმინისტრირება, მოხდა ქულების დიფერენციაცია, აიწია ზედა ზღვარი 57.000 ქულიდან 65.000-მდე და ა.შ.

ახალი მეთოდოლოგია სრულიად თავისუფალია სუბიექტური ფაქტორებისაგან, პროგრამიდან ამოღებულია და ქულის დათვლაში არ მონაწილეობს არც აგენტის სუბიექტური შეფასება, არც ადგილობრივი თვითმმართველობების შუამდგომლობები, რაც გასულ წლებში დანერგილი საკმაოდ მანკიერი პრაქტიკა იყო. როცა ხშირად მართლაც აგენტის სუბიექტური შეფასებით ხდებოდა ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის მინიჭება. დღეს სოცაგენტი დეკლარაციაში აღნუსხავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რასაც თავად ოჯახის წევრები აწვდიან. შევსებულ დეკლარაციას კი ხელს აწერს და ადასტურებს თავად ოჯახის უფლებამოსილი პირი.

ამასთან ერთად, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები მონაცემებს ადარებენ სხვადასხვა უწყების ბაზებიდან მიღებულ ინფორმაციას – მაგალითად, საჯარო რეესტრის მონაცემებს (პირების სახელზე გაფორმებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით) შემოსავლების სამსახურის მონაცემებს (ლეგალური შემოსავლის შესახებ), შსს-ს მომსახურების სააგენტოს მონაცემებს (პირების სახელზე გაფორმებულ ავტომანქანებთან დაკავშირებით), საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ბაზებს (საზღვრის გადაკვეთის შესახებ), ენერგოკომპანიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (კომუნალური ხარჯების შესახებ) და ა.შ.

შესაბამისად, მინიმუმამდეა დაყვანილი ოჯახის მხრიდან სახელმწიფოსათვის რაიმე ტიპის ინფორმაციის დამალვის ალბათობა და, რაც მთავარია, სარეიტინგო ქულა ითვლება სწორედ ამ ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით – სპეციალური პროგრამის მეშვეობით და არა ვინმეს სუბიექტური გადაწყვეტილებით. სააგენტოს არცერთ თანამშრომელს, მათ შორის, არც ხელმძღვანელობას არ გააჩნია ბერკეტი – ხელოვნურად მოახდინოს გავლენა სარეიტინგო ქულის დათვლაზე.

როგორც მოგეხსენებათ, დეკლარაციაში აღარ იწერება საყოფაცხოვრებო ტექნიკა და პირველადი მოხმარების ნივთები, თუმცა ქულის დათვლაზე, რასაკვირველია, მოქმედებს ოჯახის შრომისუნარიანი წევრი, უმაღლესი განათლების მქონე პირები, ასევე ოჯახის შემოსავლები, შინამეურნეობის არსებობა, შემოსავლის მომტანი ქონება, კომუნალური ხარჯები და ოჯახის ზოგადი შემადგენლობა.

ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სრული გადამოწმება ივლისში დასრულდა. სააგენტომ სულ 527.000 ოჯახი გადაამოწმა, აღსანიშნავია რომ მათგან 87.748 ოჯახი პირველადი განაცხადის საფუძველზე გადამოწმდა – ანუ ეს ოჯახები მანამდე საერთოდ არ იყვნენ რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მათგან 31.738 ოჯახი პირველად გახდა საარსებო შემწეობის მიმღები. ივლისის მონაცემებით საარსებო შემწეობას 457.000 პირი იღებს. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ყოველთვიურად იცვლება – ზოგჯერ იმატებს და ზოგჯერ იკლებს. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ავტომატური პროცესია, რომელიც თვითდინებით მიდის და არავის გააჩნია პროცესებზე ხელოვნური გავლენის ბერკეტი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ახალი მეთოდოლოგია უკეთ ხედავს ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს. საარსებო შემწეობის თანხასთან ერთად ბავშვიანი ოჯახები 100 000 ქულის ქვემოთ ბავშვის ბენეფიტსაც იღებენ და იგივე ოჯახები საარსებო შემწეობის მიმღებებიც არიან.

დღეს სოციალურ დახმარებას იღებს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 13.0%, რაც საერთაშორისო გამოცდილებით დაფარვის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. სახელმწიფო სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ფულადი საარსებო შემწეობებისათვის ყოველთვიურად 22-23 მილიონ ლარს ხარჯავს.

მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევის მიხედვით, ბოლო წლებში უკიდურესი სიღარიბე 15%-ით შემცირდა. გაეროს ბავშვთა ფონდი კი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევას. ბოლო კვლევის თანახმად, რომელიც 2015 წლის შედეგებს ასახავს, დადებითი ტენდენციაა სიღარიბის დონის შემცირების კუთხით – ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 6%-დან (2013 წ.) 2,5%-მდე (2015წ.), ხოლო მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე 3,9%-დან (2013 წ.) 2,1%-მდე შემცირდა, ბავშვთა ზოგადი სიღარიბე 28,4%-დან (2013 წ.) 21,7%-მდე, მოსახლეობის ზოგადი სიღარიბე კი 24,6%-დან (2013 წ.) 18,4%-მდე შემცირდა.

მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს უნივერსალურია პროგრამა, რომელიც ბაზაში რეგისტრირებული ყველა ოჯახის საჭიროებას ერთნაირად ხედავს, მაგრამ ქვეყანაში დღეს მოქმედი მეთოდოლოგია თავისუფალია პოლიტიკური და სუბიექტური გავლენებისაგან და, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ერთ-ერთი მოწინავე და პროგრესული სახელმწიფო პროგრამაა.

# თბილისის აეროპორტში კანონიერი ქურდი დააკავეს



2 სექტემბერს შსს-მ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კანონიერი ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1952 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი, რუსეთის ფედერაციის მიერ დეპორტირებული მ.გ., კანონიერი ქურდობის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა მ.გ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ჩამოფრინდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მ.გ. 1980 წლიდან ე.წ. ქურდულ სამყაროში აღიარებულია „კანონიერ ქურდად". ასევე დადგინდა, რომ იგი ბოლო წლების განმავლობაში უკრაინასა და რუსეთში იმყოფებოდა.

გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით).

თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა კანონიერი ქურდობისათვის ბრალდებულის მიმართ და მას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „ნიუპოსტს" სასამართლოდან აცნობეს, წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებული 1980 წლებში აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად. იგი ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს. ეთანხმება მის მიზნებს და თავისი ცხოვრების წესით, საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროს მხარდაჭერას. ასევე ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებისა და სპეციალური წესების შემუშავებაში ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მიღების მიზნით, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში და ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან.

აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბრალდებულს ბრალად ედება მძიმე, ორგანიზებული კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 დან 10 წლამდე ვადით.

ბრალდებულის მიმალვის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელშეშლის საფრთხეთა გათვალისწინებით, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2017 წლის 25 სექტემბერს 14:30 საათზე.

# „საბრალო ბიჭი ღამე გამოვარდა ქუჩაში ყვირილით, მიშველეთო"

## თიანეთში მამას 17 წლის შვილის მკვლელობა ედება ბრალად



1 სექტემბერს თიანეთში ტრაგედია დატრიალდა. პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელსაც 17 წლის შვილის მკვლელობა ედება ბრალად.

კვირის პალიტრა გე-სთან საუბარში ოჯახის ერთ-ერთი მეზობელი მომხდარის სავარაუდო ვერსიებზე საუბრობს.

როგორც ის აღნიშნავს, ბოლო პერიოდში გარდაცვლილის მამას შვილთან კონფლიქტი ხშირად ჰქონდა. მისივე თქმით, გარდაცვლილის დედა ამჟამად უცხოეთში სამუშაოდაა წასული.

– ბიჭიც და მამაც იმ სიტუაციის მსხვერპლნი არიან, რაც საქართველოშია, როდესაც ოჯახისთვის ლუკმა-პურის საშოვნელად დედები უცხოეთში არიან გადახვეწილები და შვილებისა და ქმრების იძულებით, წლობით მიტოვება უწევთ.

ასე მოხდა ამ ოჯახშიც, სადაც სამი ბავშვი იზრდებოდა. სამივენი პატარები იყვნენ, როდესაც დედა ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ წავიდა და ბავშვები მამასთან მარტო დარჩნენ. ოჯახში დარჩენილი მამა ყველაფერს აკეთებდა, მაგრამ ტვირთს მაინც ვერ გაუძლო და ბოლოს სმას მიჰყო ხელი.

აქედან დაიწყო ყველა უბედურება. უფროსი გოგონა ადრეულ ასაკში გათხოვდა, ბიჭმა კი სწავლაზე აიღო ხელი. არადა, ძალიან ნათელი გონების ბავშვი იყო, მამამ კი ვერ შეძლო შვილებს განათლების მიღებაში დახმარებოდა. ბიჭმა 9 კლასი რომ დაამთავრა, სკოლაში აღარ წავიდა, გამოაცხადა, ყველამ ხომ არ უნდა ისწავლოს, მე ვიმუშავებო, მაგრამ ვერ იმუშავა, – განაცხადა გარდაცვლილის მეზობელმა.

მისივე თქმით, მამას შვილთან განათლების მიღების გამო კონფლიქტი ხშირად ჰქონდა.

– მომხდარს თვითმხილველი არ ჰყავს, არავინ იცის, ზუსტად რა მოხდა, ან რა უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ საბრალო ბიჭი ღამე გამოვარდა ქუჩაში ყვირილით, მიშველეთო. ბიჭს საძილე არტერია ჰქონდა დაზიანებული, ძალიან ღონიერი რომ არ ყოფილიყო, ამ მდგომარეობაში ქუჩამდე ვერც გამოაღწევდა. სასწრაფო რომ მოვიდა, ბიჭი ცოცხალი აღარ იყო, – აღნიშნა მეზობელმა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 15 წლამდე.

# ახალქალაქი – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ყოფილი დეპუტატი სამველ პეტროსიანი მოკვლით დაემუქრა

ახალქალაქში, ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ჰასმიკ მარანგოზიანის მიმართ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა სამველ პეტროსიანმა და მისმა შვილმა გიორგი პეტროსიანმა (გამგებლის რწმუნებული) განახორციელეს მუქარა.

ამის შესახებ ცესკო-ს სპიკერმა ანა მიქელაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ოლქის თავმჯდომარეს დაემუქრნენ, როგორც საკუთარი სიცოცხლის მოსპობით, ისე ოჯახის წევრის უკანონო თავისუფლების აღკვეთითა და ქონების



დაზიანებით, კერძოდ, სახლის დაწვით.

– საყურადღებოა, რომ ჰასმიკ მარანგოზიანის განცხადებით, აღნიშნული პირების მხრიდან მსგავსი მუქარა მის მიმართ უკვე არაერთგზის განხორციელდა.

გარდა ამისა, გუშინვე, სამველ პეტროსიანმა ქუჩაში მიმავალ ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, პაატა ფანჯიკიძეს, მოპირდაპირე მხრიდან გაუჩერა მანქანა და მოსთხოვა ახსნა-განმარტებები მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ფაქტები შეიძლება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, მოწოდებული ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება პროკურატურას.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ამ სახის ჩარევა უკვე საშიში ტენდენციის სახეს იღებს, რაც მოითხოვს ყველა ჩართული მხარის დროულ რეაგირებას და მაქსიმალურ ძალისხმევას ძალადობრივი ქმედებების პრევენციისთვის.

– ცესკო კიდევ ერთხელ მიმართავს არჩევნებში მონაწილე მხარეებს თავი შეიკავონ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში უხეში ჩარევისა და უკანონო ქმედებების განხორციელებისგან, – აცხადებენ ცესკოში.

**ინტერპრესნიუსი**

# სუს-მა თემურ ჯანაშიას ფარული მიყურადება შეწყვიტა



სახელმწიფო გადატრიალების მუხლით აღძრულ საქმეზე სდსს-ს ყოფილ ხელმძღვანელზე თემურ ჯანაშიაზე ფარული მიყურადება შეწყდა.

ერთწლიანი მიყურადების შედეგები ჯანაშიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 2 სექტემბერს გააცნეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ჯანაშიამ განუცხადა, სუს-ში განუმარტეს, რომ ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მასალები განადგურებულია, რადგან მათში გამოძიებისთვის საინტერესო არაფერი ყოფილა.

– სასამართლო განჩინების საფუძველზე, იმ პერიოდში ისმინებოდა ჩემი ტელეფონი. როცა ვთხოვე, რომ წარმოედგინათ, თუ რას უსმენდნენ, მითხრეს – ეს მონაცემები განადგურებულია, რადგან მათში არაფერი საინტერესო არ იყო. გავეცანი ასევე მასალებს და საერთოდ რა შემხებლობა მქონდა ამ საქმესთან, ამის რაიმე დოკუმენტი ვერ ვნახე, ლოგიკურად ვერ დავაკავშირე.

საქმე აღიძრა იმაზე, რომ ვითომ ერთი ინდივიდი ელაპარაკება მეორეს, სადაც ჩემს სახელს და გვარს ასახელებენ. თვითონ ამ საუბრის შინაარსიდანაც ირკვევა, რომ არც მანამდე, არც იმის მერე არ მექნებოდა შეხება ამ საქმესთან. ამის მიუხედავად, მაინც ვიყავი დაკითხვაზე და რაღაც პერიოდში, ჩემს მყუდრო პირად სივრცეში შემოიჭრნენ, – განაცხადა თემურ ჯანაშიამ.

მისივე თქმით, მოცემულ საქმეზე ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინტერესის ობიექტი აღარ არის.

– ინტერესის ობიექტი ყოველთვის ვიქნები, რა თქმა უნდა, თუმცა მოცემულ საქმეზე აღარ გრძელდება ჩემზე ფარული მიყურადება, – განაცხადა ჯანაშიამ.

# საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ბანგლადეშის 8 მოქალაქე დააკავეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 8 პირი დააკავა.

„შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო ბიუროსა და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, №1 სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბანგლადეშის რესპუბლიკის რვა მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით)" – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

# ქობულეთში ზღვაში 12 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს

ქობულეთში ზღვაში სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა 12 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს. სამძებრო სამუშაოებში, რომლებიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სამაშველო სამსახურის 45 თანამშრომელი იყო ჩართული.

შემთხვევა 3 დღის წინ მოხდა. 12 წლის მოზარდი ზღვაში შევიდა და გაუჩინარდა.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს" განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ქუთაისი-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე ტრაილერი გადავარდა – დაშავდა თურქეთის მოქალაქე

ქუთაისი-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე ტრაილერი გადავარდა და ამოტრიალდა. შედეგად თურქეთის მოქალაქე დაშავდა.

მამაკაცს თავისა და გულ-მკერდის ღია ჭრილობები აღენიშნება.

თურქეთის მოქალაქე ქუთაისში, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

**ნიუპოსტი**

# ორსული ცოლის ცემისთვის მისი ქმარი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ს.ს., ოჯახში ძალადობის ბრალდებით, წალკის რაიონის სოფელ არსარვანში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ფიზიკურად გაუსწორდა ორსულ მეუღლეს – 1991 წელს დაბადებულ ჯ.ს.-ს, რომელიც, მომხდარის შედეგად, მარნეულის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ქალს ტვინის მსუბუქი შერყევა დაუდგინდა.

ასევე, დადგინდა, რომ ს.ს.-მ მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა წარსულშიც რამდენჯერმე მიაყენა.

სამართალდამცველებმა მოძალადე საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის და სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით).

საერთაშორისო

# კიმ ჩენ ინი: „მე წყალბადის ბომბი მაქვს!“

ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო-საინფორმაციო სააგენტომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეას წყალბადის ბომბი აქვს. დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ წყალბადის ბომბის შექმნა ქვეყნის უდიდესი მიღწევაა.



– ჩვენ წყალბადის ბომბი გვაქვს! ასე რომ, ყველას, ვინც ჩრდილოეთ კორეისაკენ მუშტებს იქნევს, ვურჩევ, გონს მოეგოს! – თქვა კიმ ჩენ ინმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა კიმ ჩენ ინის სიტყვებს ბლეფი უწოდა.

– ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი ბლეფობს, თუმცა მისი აგრესიული საქციელი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის მჭიდრო თანამშრომლობა, – განაცხადა ტრამპმა.

# ირანისათვის სარაკეტო პროგრამის განხორციელება პრიორიტეტულია

ირანის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა სარაკეტო პროგრამის განხორციელებას. ახალმა თავდაცვის მინისტრმა ამირ ჰატამიმ ამის გამო კმაყოფილება გამოთქვა.



– სარაკეტო პროგრამის განხორციელება ჩვენთვის პრიორიტეტულია! მოხარული ვარ, რომ პარლამენტმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, – ამბობს ამირ ჰატამი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შვედი მუსლიმანების წინ ბეკონის ჭამისთვის დააჯარიმეს

სტოკჰოლმის სასამართლომ 53 წლის ადგილობრივი მცხოვრები დამნაშავედ ცნო მორწმუნე მუსლიმანების გრძნობების შეურაცხყოფაში, როდესაც ის მატარებელში მგზავრობის დროს სამი მუსლიმანის თანდასწრებით ბეკონს მიირთმევდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი შვედური პორტალი ავრცელებს.



ინციდენტი 2015 წლის აპრილში ქალაქგარეთ მატარებლით მგზავრობის დროს მოხდა. მგზავრმა (მისი ვინაობა არ სახელდება) ბეკონის ჭამა იმის მიუხედავად დაიწყო, რომ მის წინ სამი ხიჯაბიანი ქალი იჯდა. ქალები სხვა ადგილას გადასხდნენ, მაგრამ მამაკაცი ისევ მათ წინ მოკალათდა.

მას მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა, ასევე რასობრივი ან ეროვნული შუღლის გაღვივება დასდეს ბრალად, თუმცა ეს უკანასკნელი ბრალდება სასამართლოზე მოუხსნეს.

პროცესზე განსასჯელმა განაცხადა, რომ მას ქალების გრძნობების შეურაცხყოფის განზრახვა არ ჰქონია და მათ უკან იმიტომ გაჰყვა, რომ ბოდიში მოეხადა, თუ მისი ქმედება მათთვის შეურაცხმყოფელი იყო.

სასამართლომ მისი ეს განცხადება მხედველობაში არ მიიღო, ვინაიდან, როგორც თვითმხილველებმა, ისე სათვალთვალო კამერებმა დაადასტურეს, რომ ის სპეციალურად ჭამდა ბეკონს მუსლიმანი ქალების თვალწინ.

საბოლოო ჯამში, შვედ მამაკაცს ჯარიმის სახით 9 ათასი კრონის (1130 დოლარი) გადახდა დაეკისრა. ასევე მან თითოეულ ქალს 5 ათასი კრონი (630 დოლარი) უნდა გადაუხადოს.

# ზღვის წავმა კალათბურთის თამაში ისწავლა

ამერიკის ორეგონის შტატის ზოოპარკის ბინადარი 19 წლის ზღვის წავი, სახელად ედი, კალათბურთს თამაშობს. ამის ამსახველი ვიდეორგოლი იუთუბიზე ზოოპარკის არხზეა განთავსებული.



როდესაც ედი კალიფორნიის სანაპიროზე იპოვეს, ის ჯერ სულ პატარა იყო. ცხოველი მონტერეის აკვარიუმში გადაიყვანეს ძალების აღსადგენად. 2000 წელს წავი ორეგონის ზოოპარკში მოხვდა.

2013 წელს სამედიცინო გამოკვლევის დროს წავს წინა კიდურების სახსრების ართრიტი აღმოუჩინეს. ვეტერინარებმა მას ფიზიოთერაპია დაუნიშნეს.

ვინაიდან ზღვის წავები ცურვის დროს აქტიურად არ იყენებენ ამ სახსრებს, ედის მომვლელმა სხვა საშუალება გამონახა და გადაწყვიტა, მისთვის კალათბურთის თამაში ესწავლებინა. ქალის თქმით, ეს ძალიან ადვილი გამოდგა, ვინაიდან ედიმ უკვე იცოდა ნივთების მოტანა. როდესაც ცხოველი ბურთს იღებდა და მასთან მიჰქონდა, ქალს ამ დროს ხელი კალათის თავზე ეჭირა, შემდეგ კი გვერდზე სწევდა და ბურთი კალათში ვარდებოდა.

ყოველ ჯერზე, როდესაც წავი წარმატებით ართმევდა თავს ამოცანას, მას სასუსნავით უმასპინძლდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ვარჯიშმა ედის ჯანმრთელობას არგო.

# გადამდგარმა სამხედრო ინჟინერმა საიდუმლო ციხეზე წიგნი დაწერა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თადარიგში გასულმა ინჟინერმა რეიმონდ ჟიმანსკიმ, რომელიც 39 წლის განმავლობაში მსახურობდა, დაწერა წიგნი სათაურით „ნაცრისფერის 50 ფერი“, რომელშიც უცხოპლანეტელებისთვის განკუთვნილ საიდუმლო ციხეზე საუბრობს, რომელიც თითქოსდა ოჰაიოს შტატში რაიტ-პატერსონის საავიაციო ბაზის მიწისქვეშა გვირაბებშია განთავსებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ჟიმანსკის თქმით, მან ამ საიდუმლოს შესახებ სამსახურის დაწყების პირველ კვირას თავისი მეთაურისგან შეიტყო, რომელსაც ის ელ-ის სახელით მოიხსენიებს. თითქოსდა მან უამბო, რომ ნიუ-მექსიკოს შტატში მფრინავი თეფშის ჩამოვარდნის შემდეგ, რომელიც როზუელის ინციდენტის სახელით არის ცნობილი, მანქანა და მისი ბინადარნი სწორედ ამ ბაზაზე იქნენ გადაყვანილნი. შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ჟიმანსკის არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საუბრებში, რომელიც ელის სიტყვებს ადასტურებდა.



– და არავის ერთხელაც არ უთქვამს – „შენ დარტყმული ხარ, ჩვენთან არანაირი უცხოპლანეტელები არ არიან!“ ზოგს ეღიმებოდა, მაგრამ უარყოფა არავის უცდია, – ხაზგასმით აღნიშნავს წიგნის ავტორი.

ჟიმანსკიმ დაამატა, რომ თავად არც მიწისქვეშა ციხე უნახავს და არც უცხოპლანეტელები, მაგრამ ბაზაზე რამდენჯერმე შეხვდა პიროვნებებს, რომლებიც ძალიან წააგავდნენ ფილმის „ადამიანები შავებში“ გმირებს. მათ მუქი ფერის კოსტიუმები ეცვათ და ქუდები ზაფხულის ცხელ დღეებშიც კი ეხურათ. მისი აზრით, ისინი სახელმწიფო სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც მტკიცებულებების დაფარვით იყვნენ დაკავებულნი.

# ფერმერმა საკუთარ სახლში გიგანტური ობობა აღმოაჩინა

ახალი ზელანდიის ქალაქ უეინგაროს მცხოვრებმა საკუთარი სახლის კედელზე გიგანტური ობობა აღმოაჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ფერმერის თქმით, ის სახლის შესასვლელთან ხის გამხმარ ფოთლებს აგროვებდა, როდესაც კართან რაღაც ცოცხალი არსება შენიშნა. თვითმხილველის თქმით, ობობა სიგრძეში 12 სანტიმეტრი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ობობების საშუალო ზომა, რომლებიც ქსელებს ქსოვენ, დაახლოებით სამ სანტიმეტრს შეადგენს. მან, რომელმაც მომხდარი კამერით გადაიღო, აღიარა, რომ ცხოვრებაში ასეთ უზარმაზარ ობობას არასოდეს შეხვედრია.

საბოლოო ჯამში, ფერმერი მუტანტ არსებას ბაღის ფოცხის დახმარებით გაუსწორდა.

# ფოტოგრაფმა ჰომოსექსუალი ლომები დააფიქსირა

ფოტოგრაფმა რუს ბრიჯესმა, რომელიც დიდი ბრიტანეთის საუთ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ როტერმიდან არის, ზოოპარკში უჩვეულო სიტუაცია დააფიქსირა. ერთი ხვადი ლომი მეორის ზურგზე იყო შემჯდარი ძუ ლომის თვალწინ.



ბრიჯესმა ლომების პრაიდი დონკასტერის ნაკრძალში აღმოაჩინა. თავად ფოტოგრაფმა დააზუსტა, რომ სურათებს აქტის დროს იღებდა.

მასთან ერთად ამ მოქმედებას თვალს სხვა დამთვალიერებლებიც ადევნებდნენ, რომლებიც ნანახმა გაამხიარულა.

42 წლის ფოტოგრაფმა ასევე განაცხადა, რომ დიდი ხანია გარეული ცხოველების ფოტოგრაფირებით არის გატაცებული, მაგრამ ასეთ რამეს პირველად შეესწრო.

ფოტოგრაფი იმ ფაქტმაც გაამხიარულა, რომ მომხდარი სქესობრივ აქტს ჩამოჰგავდა. კიდევ უფრო კომიკურად სიტუაცია იმის გამოც გამოიყურებოდა, რომ იქვე მჯდომი ძუ ლომი აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კალათბურთელებმა გერმანიასთან და უკრაინასთან წააგეს და საქმე ძალიან გაირთულეს

ლიტვასთან მოულოდნელად მოგებული მატჩის შემდეგ ქართველმა კალათბურთელებმა რატომლაც ჩათვალეს, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდეს და შემდეგი ორი მატჩი – გერმანიასა და უკრაინასთან – უშანსოდ წააგეს.

**საქართველო-გერმანია 57:67**
**(19:19, 17:22, 16:14, 5:12)**

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია უმეტესწილად იგებდა, საქართველო ბოლო პერიოდამდე მძლავრად იდგა და შანსს ინარჩუნებდა. მესამე პერიოდის 5-ქულიანი ჩამორჩენით დაწყებიდან 3 ქულით დაწინაურების შემდეგ ქართველები სწორ გზას დაადგნენ, თუმცა ბოლო პერიოდში ჩავარდნა ჰქონდათ და ისე წააგეს, შეხვედრა არც დაძაბულა.

შეხვედრა თანაბარი თამაშით დაიწყო. მართალია, 4-5 ქულით ჯერ საქართველო დაწინაურდა, შემდეგ – გერმანია, თუმცა პირველი პერიოდის ბოლოსთვის ფრე დაფიქსირდა. ვერცერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა უპირატესობა ორივე სათამაშო რგოლში: თუკი საქართველოს ნაკრების ქულების უმეტესობა ფარქვეშიდან ჩავარდა, გერმანელებმა უმეტესად პერიმეტრიდან იხეირეს. ნბა-ს ვარსკვლავი, ატლანტა ჰოუქსის წევრი დენის შროდერი თითქმის შეუჩერებელი იყო და საწყის პერიოდში 9 ქულას მოუყარა თავი. არანაკლები წარმატებით ითამაშა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც ფარქვეშიდან 8 ქულა მოიპოვა. 19:19 პირველი პერიოდის შემდეგ.

შემდეგ ილიას ზუროსმა „ორმაგი კოშკის“ ტაქტიკას მიმართა და მოედანზე ერთდროულად გიორგი შერმადინი და ზაზა ფაჩულია გამოიყვანა, რამაც მომენტებში გაამართლა, თუმცა გერმანელებმა აქცენტი შორ სროლებზე გადაიტანეს, რის ხარჯზეც გალიდერდნენ კიდეც – 27:21. ზუროსმა მოედანზე თორნიკე შენგელია დააბრუნა. დუდა სანაძემ კი რამდენიმე მომენტში საკუთარ თავზე აიღო თამაში და ქართველები გერმანიას მინიმუმამდე მიაახლოვა – 31:32.

გერმანელებმა ისევ შორ სროლებს მიმართეს და 2 სამქულიანით მატჩში ყველაზე დიდ უპირატესობას მიაღწიეს – 41:34. პირველი ტაიმის მიწურულს ფაჩულიამ 2-ქულიანი ჩააგდო, გერმანელებმა ბოლო შეტევა გააცუდეს და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 41:36.

შესვენების შემდეგ ზუროსის გუნდმა თამაში მწყობრი დაცვით განაახლა, რის ხარჯზეც ქართველებმა მეტოქეს ბურთები არ ჩააგდებინა, თავის მხრივ კი მაიკლ დიქსონის მიჯრით მითვლილი 8 ქულით ჩვენმა გუნდმა იხეირა და ლიდერობა დაიბრუნა. მესამე პერიოდის დასრულებამდე 6:30 წუთით ადრე ქართველები 44:43 დაწინაურდნენ, ხოლო კიდევ 3 წუთში, ცინცაძის ზუსტი სროლის შემდეგ, ლიდერობა 3 ქულამდე გაზარდეს – 48:45. პერიოდის დასკვნითი 3 წუთი მეტი შედეგიანობით ჩაატარეს გერმანელებმა. დენის შროდერის გარღვევებითა და დანილო ბარტელის სამიანით მეტოქე ბოლო პერიოდის წინ 55:52 დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში, როცა ყველაზე დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, სწორედ მაშინ დაფიქსირდა ჩვენი გუნდის ჩავარდნა. თითქოს დიდი არაფერი, თუმცა გერმანელები შორ თუ ახლო სროლებს აგდებდნენ, ჩვენები კი აცილებდნენ და ანგარიშში სხვაობა ასცდა 10 ქულას. შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე რობინ ბერზინგის სამქულიანს გერმანელთა 13-ქულიანი დაწინაურება მოჰყვა და მატჩის ბედიც გაირკვა. დარჩენილ 4 წუთში ქართველებმა ვითარების გამოსწორება ვერ მოახერხეს და საბოლოოდ შეხვედრა 57:67 დათმეს.

ჩვენივე ჯგუფში მე-2 გამარჯვება მოიპოვა იტალიამ. აპენინელებმა 78:66 იმარჯვეს და ამაში დიდი წვლილი მარკო ბელინელიმ შეიტანა, რომელმაც 6 სამქულიანი ჩაუგდო უკრაინელებს, სულ კი 26 ქულას მოუყარა თავი.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ლიტვამ. ქართველებთან წაგების შემდეგ ბალტიისპირელებმა ისრაელი გაანადგურეს – 88:73.

* * *

გუშინ საქართველოს ნაკრები უკრაინას შეხვდა და ისევ წააგო – 81:88.

პირველი მეოთხედი უკრაინამ 21:20 მოიგო, მეორე – 30:18 და შესვენებაზე 13-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მესამე მეოთხედში საქართველომ ცოტა გაიბრძოლა, 25:16 მოიგო და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, მაგრამ მეოთხე მეოთხედი ტრადიციულად ცუდად ითამაშა და 7 ქულით წააგო – 81:88.

ამ წაგების შემდეგ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები ძალიან შემცირდა – საქართველოს წინ ორი მატჩი აქვს – მასპინძელ ისრაელთან და ფავორიტ იტალიასთან. ასეთი თამაშით თუნდაც ერთი მატჩის მოგების შანსი პრაქტიკულად ნულს უდრის.







# ლიპარტელიანის ვერცხლი, მარგიანის ბრინჯაო



უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში დამთავრებულ მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ანგარიშზე 3 მედალია. ვაჟა მარგველაშვილის (66 კგ) მიერ მოგებულ ბრინჯაოს, ამავე ხარისხის მედალი უშანგი მარგიანმა (90) მიამატა, ხოლო ვარლამ ლიპარტელიანმა (100) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლიპარტელიანმა ტურნირი კოტდივუარელ კოფი კრიმ კობენასთან დაჭიდებით დაიწყო. პირველსავე წუთზე ვაზარით დაწინაურდა და უპირატესობა ბოლომდე მშვიდად შეინარჩუნა. ვაზარითვე გაუსწორდა მეორე წრეში, ალჟირელ ლიე ბუიაკუუბს. მერვედფინალში ლიპარტელიანმა ლიტველ ევგენის ბოროდავკოსაც ტაქტიკური ჭიდაობით, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე, ისევ ერთი ვაზარით აჯობა და მეოთხედფინალში კარგად ნაცნობ მეტოქეს, ევროპის 2-გზის ჩემპიონს, რუს კირილ დენისოვს დაუპირისპირდა. ამ ძიუდოისტების კონკურენცია ჯერ კიდევ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაიწყო. ლიპარტელიანმა მე-3 წუთზე, მეტოქის მიერ წამოწყებული ილეთი თავად გააგრძელა, დენისოვი ბეჭზე გადაატარა და ვაზარით დაწინაურდა. დარჩენილ დროში კი რუსს ბრძოლის სათავისოდ შეტრიალების მინიმალური შანსიც არ მისცა. ნახევარფინალში კი, აზერბაიჯანელ ელხან მამადოვს უილეთოდ აჯობა. ორი გაფრთხილება ძირითად დროში მიაღებინა, მესამე – „ოქროს დროში“.

ერთი გამარჯვებაც და მსოფლიოს ვერცხლის (2013) და 2-გზის ბრინჯაოს (2014 და 2015) პრიზიორი ლიპარტელიანი კარიერის ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ სამწუხაროდ, კიდევ ერთ ვერცხლს დასჯერდა. მიზნამდე ამჯერად იაპონელი აარონ ვოლფის ძლევა დააკლდა. ქართველი ძიუდოისტი მთელი შეხვედრა ინიციატივას ფლობდა და მართალია ილეთით ვერ დაწინაურდა, მაგრამ „ოქროს დროში“ 2 შიდოს უპირატესობით გადავიდა. იქ კი ვოლფმა მთელ შეხვედრაში პირველად შეუტია და ვაზარიც შეასრულა.

ვარლამ ლიპარტელიანი ერთადერთი ქართველი ძიუდოისტია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 4 მედალი აქვს მოპოვებული.



ვარლამ ლიპარტელიანი



უშანგი მარგიანი

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მარგიანი საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო და ბოსნიაჰერცეგოვინელი ტონი მილეტიჩი ვაზარით ჩამოიშორა. ალჟირელ აბდერაჰმან ბენამადისთან ვაზარით ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ 2 ვაზარი აუღო და მერვედფინალში გავიდა, სადაც ჩეხ კლამერს საფინალო გონგამდე 16 წამით ადრე შესრულებული ვაზარით აჯობა და მეოთხედფინალში სერბ ნემანია მაიდოვს დაუპირისპირდა, რომელთანაც „ოქროს დროში“ დამარცხდა.

მარგიანი რეპეშაჟში გადაერთო და ბრინჯაოს გზაზე ჯერ აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევს აჯობა, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ ნომრად განთესილ სერბ ალექსანდრ კუკოლსაც სძლია.

ახლოს იყო მედალთან გურამ თუშიშვილი. 22 წლის ქართველი მძიმეწონოსანი რეპეშაჟის ფინალში მონღოლ ნაიდან ტუვშინბაიართან დამარცხდა.

ძირითად ბადეში თუშიშვილმა 4 შეხვედრა ჩაატარა. სამხრეთკორეელი სუნგ მინ კიმის, კუბელი ალექს გარსია მენდოზასა და ავსტრიელი დანიელ ალერშტოფერის ძლევის შემდეგ, ნახევარფინალში მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონ ფრანგ ტედი რინერთან დაძაბულ ბრძოლაში, „ოქროს დროში“ დამარცხდა.

მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილიც ჩაერთო, მაგრამ ძირითად ბადეში მეოთხედფინალში დამარცხდა, ხოლო შემდეგ, რეპეშაჟის ნახევარფინალშიც წააგო და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა. ქალთა ნაკრების მძიმეწონოსანი ელენე ქებაძე კი ჩემპიონატს პირველივე წრიდან გამოეთიშა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების კიდევ 2 წევრი გამოვიდა და შეჯიბრებას ორივე ადრიანად გამოეთიშა, თან ორივემ ისე წააგო, არც ილეთი გაუშვიათ, არც 3 შიდო მიუღიათ.

ჰანსოკუ-მაკეს ერთ-ერთი დაზარალებული ბექა ღვინიაშვილია (90 კგ), რომლისგანაც გულშემატკივრები მედალს ელოდნენ. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა მერვედფინალში, სლოვენიელ მიხაელ ჟგანკთან შეხვედრის მეორე წუთზე, მეტოქის წამოწყებულ ილეთზე ჰაერში ისეთი მოძრაობა გააკეთა, მძიმე ტრავმის რისკის წინაშე აღმოჩნდა. ეს კი ტურნირიდან მოხსნით ისჯება. მსაჯმა გამარჯვებულად ჟგანკი გამოაცხადა.

გაცილებით უცნაური აღმოჩნდა საქართველოს ქალთა ნაკრების წევრის, სამბოში ევროპის 2-გზის ჩემპიონ ნინო ოძელაშვილის შემთხვევა. ქართველი ძიუდოისტი ნიგერიელ ვინიე გოფიტს ვაზარით უგებდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ჭიდაობის წინ ჯვრის მოხსნა დაავიწყდა. ძიუდოს წესების მიხედვით კი, ნებისმიერი ყელსაბამით ჭიდაობა უმკაცრესად ისჯება და მსაჯმაც შეხვედრა შეაჩერა და ოძელაშვილი შეჯიბრებიდან მოხსნა.

## შედეგები

### 2 აგვისტო

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ირლანდია | 1:1 |
| სერბეთი-მოლდოვა | 3:0 |
| უელსი-ავსტრია | 1:0 |
| ფინეთი-ისლანდია | 1:0 |
| უკრაინა-თურქეთი | 2:0 |
| ალბანეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| ისრაელი-მაკედონია | 0:1 |
| ესპანეთი-იტალია | 3:0 |

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| საქართველო-გერმანია | 57:67 |
| უკრაინა-იტალია | 66:78 |
| ისრაელი-ლიტვა | 73:88 |
| მონტენეგრო-უნგრეთი | 72:48 |
| ჩეხეთი-ესპანეთი | 56:93 |
| ხორვატია-რუმინეთი | 74:58 |
| ლატვია-ბელგია | 92:64 |
| რუსეთი-სერბეთი | 75:72 |
| დ.ბრიტანეთი-თურქეთი | 70:84 |
| პოლონეთი-ისლანდია | 91:61 |
| საბერძნეთი-საფრანგეთი | 87:95 |
| ფინეთი-სლოვენია | 78:81 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მანარინო-ტიმი | 5:7,3:6,4:6 |
| ტროიცკი-დოლგოპოლოვი | 1:6,0:6,4:6 |
| კოლშრაიბერი-მილნამი | 7:5,6:2,6:4 |
| ბაუტისტა აგუტი-დელ პოტრო | 3:6,3:6,4:6 |
| ჯუმხური-რუბლიოვი | 4:6,4:6,7:5,4:6 |
| ნადალი-მაიერი | 6:7,6:3,6:1,6:4 |
| ფედერერი-ლოპესი | 6:3,6:3,7:5 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| პლიშკოვა-ჩჟანი | 3:6,7:5,6:4 |
| შაფარჟოვა-ნარა | 6:3,6:2 |
| კანეპი-ოსაკა | 6:3,2:6,7:5 |
| ოსტაპენკო-კასატკინა | 3:6,2:6 |
| ბრედი-ნიკულესკუ | 6:3,4:6,7:6 |
| ა.რადვანსკა-ვანდევეი | 5:7,6:4,4:6 |
| სვიტოლინა-როჯერსი | 6:4,7:5 |
| ვესნინა-კიზი | 6:2,4:6,1:6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველოს ფრემ ირლანდიასთან სერბების საქმე გააკეთა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქართველომ პირველად არ წააგო ირლანდიასთან და უძვირფასესი ქულები აართვა, რის გამოც მარტინ ონილის შეგირდები სერბებს ჩამორჩნენ.

ღირსეული შედეგია, მაგრამ ქართველებს მეტიც შეეძლოთ. მე-2 ტაიმში ქართველებს ბურთის ფლობა 70% ჰქონდათ, დამაჯერებლად თამაშობდნენ დაცვაში, ერთია, შეტევაში ფანტაზია აკლდათ.

თუმცა, 70 წუთის შემდეგ საქართველო დადგა, თითქოს ფრეზე თამაშობდა. საბოლოოდ, ასეც მოხდა, მაგრამ არავინ იცის რა იქნებოდა, ჩვენებს სწრაფი გოლი რომ არ გაეშვათ.

მე-4 წუთზე ირლანდიელთა შორეული ჩაწოდების შემდეგ გიორგი მაკარიძე კარიდან გამოვიდა და მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ დაფის თავური კარში შევარდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კლარკმა და დაფიმ მეკარის წინააღმდეგ თამაშისას წესები დაარღვიეს.

ამის შემდეგ მუდმივად საქართველო უტევდა. ხანდახან იყო მომენტები, რამდენიმე წუთი ირლანდიელები საჯარიმოდან ვერ ამოვიდნენ. ერთია, რეალურის შექმნა ჭირდა და ირლანდიელთა უიშვიათესი კონტრშეტევები უფრო სახიფათო იყო.

მე-20 წუთზე მაკლინმა თავით დაარტყა, ოდნავ დააკლდა სიზუსტე, ისევე, როგორც 31-ე წუთზე – შეინ ლონგს.

34-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა ლამაზი, რამდენიმესვლიანი კომბინაცია გოლად აქცია, დასკვნით ფაზაში ანანიძემ დაფარული პასით ყაზაიშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრების აქტიურობით დაიწყო და ანანიძის ძალიან ტექნიკური დარტყმის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. დაახლოებით ასეთივე მომენტი ჰქონდა შეცვლაზე შესულ მერებაშვილს მატჩის ბოლოს. ამ მომენტებს შორის ქვილითაიამაც გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ სუსტად და არაზუსტად.

მატჩი მიწურულს გადავრჩით: მაკლინი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მაკარიძემ დამაჯერებლად ითამაშა, ბურთი მოიგერია, მეკარეს გურამ კაშიაც წაეხმარა და ვითარება განიმუხტა.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე დაფის პასის შემდეგ მაკგიდის გოლის გატანის ძალიან რეალური შანსი ჰქონდა, თუმცა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

ჩვენივე ჯგუფში უელსმა 17 წლის ბენ ვუდბერნის გოლით დაამარცხა უშუალო კონკურენტი ავსტრია. ეს 74-ე წუთზე მოხდა. სერბეთმა კი შინ 3:0 სძლია მოლდოვას და დ ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 16:7 | 15 |
| 2.ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 13 |
| 3.უელსი | 7 | 2 | 5 | 0 | 10:5 | 11 |
| 4.ავსტრია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| 5.საქართველო | 7 | 0 | 4 | 3 | 7:11 | 4 |
| 6.მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:18 | 2 |

# ასტროპროგნოზი

## 4 სექტემბერი



**ვერძი** – დღეს სამსახური თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს, თუმცა გაითვალისწინეთ, წარმატება შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს. **კურო** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ლომი** – ვარსკვლავები მშვიდ და ჰარმონიულ ოჯახურ ურთიერთობას გპირდებიან. ქალებს, სავარაუდოდ, ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. **ქალწული** – შინაგანად აფორიაქებული ხართ. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. უახლოეს მეგობარს გული გადაუშალეთ და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლდით. **სასწორი** – ერიდეთ მატყუარებს. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **ღრიანკალი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მშვილდოსანი** – იყავით ფრთხილი და თავშეკავებული. ემოციები მოთოკეთ და ნებისმიერი შემოთავაზებული წინადადება გულმოდგინედ აწონ-დაწონეთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **მერწყული** – დღის დევიზია ეკონომია და წინდახედულობა. ფულის ფლანგვა არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ. **თევზები** – პასიური დღეა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## მომღერალმა ეროტიკული ფოტოსესია ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ძეგლთან გამართა

ავსტრალიური წარმომავლობის მსახიობი და მომღერალი ქსონია კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა იმ უადგილო ფოტოსესიის გამო, რომელიც მან რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ძეგლთან გამართა.

სოციალურ ქსელ ინსტაგრამში განთავსებული ფოტოსურათების მიხედვით, გადაღების დროს გოგონას ეცვა თეთრი ფერის ბოდი, ბოტფორტი და თავზე კეპი ეხურა.



ადგილობრივ გამოცემის ცნობით, ფოტოსურათები მემორიალური კომპლექსის ტერიტორიაზეა გადაღებული.

სოციალურ ქსელებში ფოტოსურათის გამოჩენის შემდეგ, სადაც 28 წლის ქსონიას თითქმის 200 ათასი ხელმომწერი ჰყავს, მას თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. მას უსვამდნენ კითხვას, ესმოდა თუ არა, როგორი ადგილი იქნა შერჩეული გადაღებებისთვის. ბევრი იმის გამოც გამოხატავდა გაკვირვებას, თუ რატომ დაუშვა ასეთი რამ მემორიალის დაცვამ.

## შურისძიების მიზნით ბრიტანულ პიცერიაში ანთებული მაშხალა შეაგდეს

ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში უცნობმა პირმა ანთებული მძლავრი მაშხალა პიცერიის „ჰელო პიცა"-ს შენობაში შეაგდო, რომელიც შეკვეთებსა და ადგილზე მიტანაზე მუშაობს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თავად ინციდენტი 28 აგვისტოს საღამოს მოხდა, თუმცა მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერი ახლახან გავრცელდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ აგდებს შენობაში კაპიუშონიან კოფთაში გამოწყობილი მამაკაცი მაშხალას, რის შემდეგაც კარს ხურავს და გარბის.



პიცერიის თანამშრომლებმა სწრაფად მოახერხეს სამზარეულოში დამალვა, სანამ მაშხალის მუხტების აფეთქება დაიწყებოდა. ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა მეორე დღეს სამსახურში გამოსვლაზე უარი განაცხადა. ამავე დროს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა თავად შენობის შიდა ნაწილს: მნიშვნელოვნად დაზიანდა ჭერი და კედლები.

როგორც დაწესებულების მენეჯერმა ივარაუდა, შესაძლოა ეს შეტევა შურისძიებას უკავშირდებოდეს. მისი თქმით, ორი დღით ადრე ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, რის შემდეგაც პიცის ერთ-ერთ კოლოფში თოფის საფანტი აღმოაჩინეს. პიცერიის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიემართათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შენობის დაზღვევა შესაძლოა გაუქმებულიყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს სწავლობენ და დამნაშავის მოძებნას ცდილობენ.

## შარვალჩახდილმა მეფუტკრემ სკაზე ნახევარი წუთი გაძლო



ახალ ზელანდიაში მეფუტკრე ჯეიმი გრეინჯერი ნიძლავის გამო 30 წამი შარვლისა და ტრუსების გარეშე ფუტკრების სკაზე იჯდა.

ამისთვის მეფუტკრემ ათასი ახალზელანდიური დოლარი მიიღო, რაც 717 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურია.

– ეს მართალია არასასიამოვნო, მაგრამ თავშესაქცევი იყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ამ დროს თქვენი უკანალი იბერება, – განაცხადა გრეინჯერმა.

მეფუტკრის თქმით, მისმა მეგობარმა გოგონამ ეს რომ გაიგო, ბევრი იცინა.

– როდესაც გაიგო, რომ ათასი დოლარი მივიღე, მითხრა, რომ ქორწილისთვის გვეყოფა, – აღნიშნა მეფუტკრემ და იქვე დაამატა, რომ ეს ყველაზე იოლი ფული იყო, რომელიც კი მას ოდესმე გამოუმუშავებია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბეჰემოთებმა ანტილოპა ნიანგის კბილებისგან იხსნეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ორი ბეჰემოთი თავს დაესხა ნიანგს, რომელსაც ანტილოპა გნუ ჰყავდა დაჭერილი. ეს უჩვეულო ინციდენტი ვიდეოზე 72 წლის პენსიონერმა მერვინ ვან ვიკმა გადაიღო, რომელიც ნაკრძალში მეუღლესთან ერთად მოგზაურობდა. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზეა განთავსებული.



ვიდეორგოლზე ჩანს, თუ როგორ სტაცა პირი ნიანგმა ანტილოპა გნუს უკანა ფეხში. ვან ვიკის თქმით, რეპტილია თავისი მსხვერპლის წყალში შეთრევას რვა წუთის განმავლობაში ცდილობდა. საბოლოოდ უკვე არაქათგამოცლილ ჩლიქოსანს მაშველებად ორი ბეჰემოთი მოევლინა. ისინი ნიანგს უკნიდან შეუმჩნევლად მიეპარნენ და თავს დაესხნენ, რითიც აიძულეს, მსხვერპლისთვის პირი გაეშვა.

ვიდეოს აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ბეჰემოთების ქცევა სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ანტილოპა შეეცოდათ. სავარაუდოდ, მათ, უბრალოდ, ნიანგი ვერ შენიშნეს და გადაწყვიტეს, რომ ანტილოპა მათ ტერიტორიაზე იყო შემოჭრილი და ის წყლიდან გააძევეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. ესპანეთის ეგზოტიკური კუნძული; 2. წყვილთა საბალო ცეკვა; 3. ... პაჩინო; 4. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 5. უნაყოფო საქონელზე იტყვიან; 6. მეფე ძველ ეგვიპტეში; 7. ჭეშმარიტად! 8. მსხვილი მახრჩობელა გველი; 9. ფიჩხის მტვრევის ხმა; 10. კინოვარსკვლავი ... აბაშიძე; 11. დენის წინაღობის ერთეული; 12. პროსპერ ...; 13. ხერხემლის ძვალი; 14. სოფელი დუშეთის რაიონში; 15. ესპანურ-იტალიური ცეკვა; 16. გრ. რობაქიძის პიესა; 17. ნუსხა; 18. ქვეითი ჯარის რაზმი ძველ რომში; 19. ... ვაიკულე; 20. პატარა დროშა; 21. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში; 22. ელექტრობის რაოდენობის საზომი ერთეული; 23. ... იოსელიანი; 24. მწვერვალი ესპანეთში; 25. ლითონი ანუ...; 26. ათასჯერ ათასი; 27. წყვილჩლიქიანი მცოხნელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 28. უქოჩრო თუთიყუში; 29. დიდი შენობის მთავარი შესასვლელი; 30. ჟორჟ სანდის რომანი; 31. ... დიტრიხი; 32. გაზაფხულის ყვავილი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კვირიკე; 2. ფატიმა; 3. ბაბანეური; 4. ნაბუკო; 5. გრიმალდი; 7. სოდა; 11. ტაპიორი; 13. ჩხავერი; 15. პირსი; 16. კომლი; 18. იუდეა; 19. ლაციო.

**თარაზულად:** 6. ვოლსკი; 8. კანკანი; 9. ქებურია; 10. ინფანტი; 12. ლაკმე; 14. ბოჟოლე; 17. რქაწითელი; 20. პროლოგი; 21. ესკიზი; 22. ენეიდა; 23. მიკიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარძიმი; 2. მიკიტანი; 3. სკაფანდრი; 4. ლომბერი; 5. მიკროსკოპი; 10. აწყური; 11. სუბიექტი; 12. გეიმერი; 13. როკფორი; 16. ქიმერიონი; 17. სემინარი; 19. იმბეცილი; 21. ბორდო; 23. ბჟუჟი.

**თარაზულად:** 6. კაზუისტიკა; 7. ბოლნისი; 8. ჯიბუტი; 9. ტალავერი; 14. ფოცხვერი; 15. ადიულტერი; 18. მეტრი; 20. ლეჩხუმი; 22. ბიბლისი; 24. თორაძე; 25. ბოლივუდი; 26. ბეჟარი.

# გიგი ადამაშვილს კონცერტის წინ ექიმების დახმარება დასჭირდა



„იქს ფაქტორისა“ და „ახალი ხმის“ მონაწილე გიგი ადამაშვილს ბათუმში დაგეგმილი კონცერტის წინ ექიმების დახმარება დასჭირდა. მომღერალი მოულოდნელად გახდა ცუდად და მისმა მეგობარმა მიშო სულუხიამ სასტუმროში ექიმი გადასხმისთვის მიიყვანა.

**მიშო სულუხია:**

– ეს ოხრისთავა ბავშვი კონცერტის წინ ავად გამიხდა, მაშინ მოუნდა აშლა და დაშლა... გადასხმაზე მოვიყვანეთ გურული ექიმი რედისონში.

იმაიმუნა, ისიაფანდა, იაფერისტა და ბოლოს ექიმს ეუბნება: – ეხ, დოდო დეიდა, თუ ვერ გადავრჩი, ბათუმის სასაფლაოზე დამკრძალეთო. გურული რისი გურული იყო, პასუხი მანამდე რომ არ ეთქვა, სანამ წინადადებას დაასრულებდა: – რას ამბობ, დეიდა, სადღა მანდ ადგილებიო.

# რაჭაში ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი ჩატარდება



რაჭაში ცნობილი მთარგმნელისა და მწერლის ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი“ ჩატარდება.

ეს იქნება მკითხველების კონკურსი, რომელიც საუკეთესო მკითხველს გამოავლენს. კონკურსში მონაწილეობისთვის 300-მდე მოსწავლე დარეგისტრირდა. კონკურსში მონაწილეობა 11-15 წლამდე და 15-21 წლამდე მოზარდებსა და ახალგაზრდებს შეეძლოთ.

ლიტერატურული კონკურსის ფინალი ოქტომბერში ამბროლაურში გაიმართება და გამარჯვებულები საზეიმო ვითარებაში გამოვლინდებიან. „მწიგნობარის“ მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს. ფინალამდე რამდენიმე თვით ადრე შეირჩნენ ის ავტორები და ნაწარმოებები, რომელთა შესახებ კითხვებიც საკონკურსო ტესტებში შევა. შემოდგომაზე კი კონკურსის ყველა მონაწილე, ორგანიზატორები და მოწვეული სტუმრები ამბროლაურში მოიყრიან თავს.

„მწიგნობარის“ დამფუძნებელი პოეტი გურამ გორდეზიანია. მისი სურვილია, ეს კონკურსი უფრო მასშტაბური გახდეს და მასში მთელი საქართველოს რაიონების ახალგაზრდები ჩაერთონ:

– მთავარი იდეა მაინც ის არის, რომ კონკურსის ფინალი რაჭაში უნდა გაიმართოს. ამით, ერთი მხრივ, მოსახლეობისგან დაცლის პირას მყოფი რაჭა დროებით მაინც გამოცოცხლდება და, მეორე მხრივ, კონკურსის მონაწილეებს მეტი მოტივაცია და ინტერესი ექნებათ, მიაკითხონ ადგილობრივ ბიბლიოთეკებს, გაეცნონ კლასიკოს თუ თანამედროვე მწერლებს და შემდეგ საკუთარი ცოდნა გამოავლინონ.

# მაგდა ვასაძე ბათუმის სახელმწიფო ჯაზბენდისთვის სარეპეტიციოს ითხოვს



მომღერალი მაგდა ვასაძე, რომელიც სხვადასხვა მუსიკალურ შოუში მონაწილეობდა, ამჟამად ბათუმის სახელმწიფო ჯაზბენდში მღერის. მომღერალი ბენდისთვის ბათუმის ხელმძღვანელობას სარეპეტიციოს გამოყოფას სთხოვს:

– მოგეხსენებათ, მე ვმღერი ბათუმის სახელმწიფო ჯაზბენდში... არაჩვეულებრივი მუსიკოსია თითოეული წევრი, მაგრამ, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მათ სარეპეტიციო არა აქვთ!

კონცერტებს ითხოვენ, მაგრამ სარეპეტიციოს არქონის გამო ვერ გავდივართ წინასაკონცერტო მზადებას... მე პირადად დიდი დისკომფორტი მაქვს ამის გამო!

მივმართავ ყველას, ვისაც შეუძლია, რაიმე ძალას ან ხერხს მიმართოს.... იმისთვის, რომ იყოს კარგი ხარისხი, აუცილებელია რეპეტიცია.... მე პირადად არცერთ კონცერტზე არ მივიღებ მონაწილეობას, თუკი სარეპეტიციო არ გამოიყოფა და ადამიანურად არ დავსხდებით და არ გავარჩევთ ამა თუ იმ ნაწარმოებს!!!

მე საკუთარ თავს არ ვაძლევ იმის უფლებას, რომ ვალდებულება მოვიხადო ჩემი ჯაზბენდში სიმღერით! პირველ რიგში, მინდა მივიღო უდიდესი სიამოვნება! ამიტომ, ძალიან გთხოვთ, მიიღეთ ზომები და სარეპეტიციო გამოყავით ბათუმის სახელმწიფო ჯაზბენდისთვის!

# ფიტარეთის მონასტერთან უნებართვო სამუშაოები აკრძალეს



ფიტარეთის მონასტრის მიმდებარედ ადგილობრივი სასულიერო პირების მიერ მძიმე ტექნიკის გამოყენებით წარმოებულ სამუშაოებს არქიტექტურული ნაგებობებისთვის ახალი დაზიანებები არ მიუყენებიათ, არქეოლოგიურ ფენებზე კი უმნიშვნელო ზეგავლენა იქონია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის არქიტექტორ-რესტავრატორებისა და არქეოლოგების ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა მონასტრის გალავნის დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული ტერიტორია. არქეოლოგის ზედამხედველობის გარეშე, მძიმე ტექნიკის მეშვეობით უნებართვოდ მოსწორებული მიწის ზედა ფენის მოხსნის შედეგად, სპეციალისტებმა გამოავლინეს ნატეხი ქვით ნაგები სამეურნეო ორმოს, ე.წ. ხაროს დაზიანებული ზედა ნაწილი, რომლის გადახურვის ქვებიც ადგილზევე დაფიქსირდა. დაზიანების მსუბუქი სიმძიმის მიუხედავად, სააგენტოს სპეციალისტები სამომავლოდ სავალდებულოდ მიიჩნევენ აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტის მეცნიერულ შესწავლას. ახალი დაზიანებების კვალი არ ეტყობა არც მონასტრის კედლებს და არც მის გალავანს, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულ გოდოლს, სადაც სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები იკვეთება. გოდოლის ქვედა, შედარებით ადრეულ ნაწილში არსებობს ძველი ბზარი, რაც არსებული ფოტო მასალითაც დასტურდება.

ფიტარეთის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობებზე ახალი, მნიშვნელოვანი დაზიანებების არარსებობის მიუხედავად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის კატეგორიულად მიუღებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტერიტორიაზე მსგავსი სამუშაოების უნებართვოდ განხორციელება. გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, სააგენტომ წერილობითი გაფრთხილება ფიტარეთის მონასტერს უკვე მისცა. უნებართვო ქმედებების განმეორების შემთხვევაში კი სააგენტო არსებული ნორმების უგულებელყოფის ფაქტს მკაცრ რეაგირებას მისცემს.

ამავდროულად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მიესალმება სამოქალაქო აქტივობის ფარგლებში „საყდრისის კომიტეტის“ წევრების მიერ გამოვლენილ პოზიციას, რაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობისკენაა მიმართული.

# ბერა ფრანგულად ამღერდა



მომღერალი ბერა ივანიშვილი ფრანგულად ამღერდა. რეპის შემდეგ სოულის მიმდინარეობაში გადასულმა მომღერალმა საკუთარ რეპერტუარში სიახლეები შეიტანა და ერთგულ მსმენელს რადიკალურად განსხვავებული სიმღერები შესთავაზა.

ფრანგულ სიმღერაზე გადაღებული ვიდეორგოლი მომღერალმა ინტერნეტში უკვე გაავრცელა და რამდენიმე საათში მან ათასობით ნახვა და მოწონება დააგროვა. ვიდეორგოლში ბერასთან ერთად მისი შეყვარებული, რუსი მოდელი ევა მინაევაც მონაწილეობს. ევა ნიუ იორკში ცხოვრობს, სამოდელო ბიზნესში აქტიურად არის ჩართული და სხვადასხვა სამოდელო სააგენტოსთან თანამშრომლობს.

ბერას ახალ სიმღერაზე ვიდეორგოლის გადაღებები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სასტუმრო „ჰილტონსა“ და გრიგოლეთში მიმდინარეობდა.

# ქუთაისის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე რეჟისორი გიორგი სიხარულიძე კოტე აბაშიძემ შეცვალა, გიორგი სიხარულიძე კი კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

კოტე აბაშიძის ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილებას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ხელი უკვე მოაწერა. ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის სურვილი 7 კანდიდატს ჰქონდა, სარეკომენდაციო საბჭომ კი წარდგენილი კანდიდატებიდან უპირატესობა კოტე აბაშიძეს მიანიჭა.

# „საშიშ დედას“ კინოთეატრ „აპოლოში“ აჩვენებენ




ანა ურუშაძის ფილმს „საშიში დედა“ ბათუმში კინოთეატრ „აპოლოში“ აჩვენებენ. ფილმი საქართველომ ოსკარზე უცხოენოვანი ფილმების კატეგორიაში წარადგინა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც ანა ურუშაძის ნამუშევარი მთავარი ჯილდოს – ოქროს ლეოპარდის მფლობელი გახდა. ფილმმა გამარჯვება მოიპოვა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზეც.

ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. „საშიში დედა“ ანა ურუშაძის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. მასში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას ცხოვრებას ასახავს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას. მას უწევს, არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

# პანტომიმის თეატრი პოლონეთში დააჯილდოვეს




საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა 53-ე თეატრალური სეზონი გახსნა, თუმცა მანამდე დასი პოლონეთში მიიწვიეს, სადაც საერთაშორისო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. მსახიობებმა მაყურებელს შალიკაშვილი შოუქეისი შესთავაზეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

ფესტივალზე ერთადერთი დიპლომი გაიცა და ისიც ქართველმა მიმებმა მიიღეს.

ფესტივალი პოლონეთში ყოველწლიურად ტარდება და მასში პანტომიმის თეატრმა უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ოიშაბათი**
**4 სექტემბეიი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 18.00, 20.10** "მოამბე" **12.30** ევრობასკეტ- **2017 13.00, 04.00** დღის მხ/ფ "**ბრალდების მოწმე**" (მ.დიტრიხი ) **15.00** დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** **კალათბურთი** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირის მატჩი. **მონტენეგრო-ხორვატია 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**ბრძოლა**" (ჩ.ტატუმი) **00.45** მხ/ფ "**ჰალკი**" (ნ.ნოლტი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**06.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 16.00, 19ძ00, 20.10, 03.10** ქრონიკა **10.10** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორ ტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმაფ** **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **00.00** მხ/ფ "**დიდი ოსტატი**" **01.50** მხ/ფ "**წითელი სისხე**" **03.25** მხ/ფ "**სამი ცხრიანი**" **04.15** მხ/? "**მარტსვი ჭეშმარიტება**"

**05.00, 18.45** სერ. "**კაცი**" **06.00, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** იერ. "**ინდიანა!ჯონსის მემკვირდეები**" **08.00, 09.10** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** იერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **17.55** სერძ "**დაკარგული წლები**" **22.00** მხ/ფ "**მრ.ძიძა**" **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.15** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ავატარი **3**" **09.00** სერ. "**მონკს-8**" **13.00** სერ. "**ძვლები-4**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია 2**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **1–2** სერ. **21.00** სერ. "**სპი რალი**" **0** სერ. **23.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები 4**" **03.30** მხ/ფ "**სიჩქარის წყურვილი**" **05.45** მხ/ფ "**გატაცება სამოც წამში**"

**08.00** ანანდა **08.05** დოკ/ფ **09.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.55** დოკ/ფ **10.25** ავტლმანი **00.40, 12.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სგრ. "**ყვე ლაფერს ცხოველების შესახებ**" **11.50, 1.30** მოდი გავეყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **16.25** Hellow კბილისს **18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.10** მე რომ ვიყო **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სსყვარულსა და შიშს შოშის** " **0.00** მხ/ფ **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** ღვთის სახლი "საქარიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი" **06.30** პატერიკი "ნეტარი!პიმენი " **06.34** ქართუ ლი ალბომი "ანტონ ფურცელაძის შთამომავლები" **07.00** დ/ფ "შვიდკაცა - ანზორ ერქომაიშვილი" **07.45** ჩვე ნი საგპნძური!"ლარგვისის ოთხთავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** პატრიარქის ქადაგება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება - ჰიმალაის პატარა პანდები" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** გაცოცხლებვლი წაშსული "ფესტივპლი-ლექსო არ დაიკარგები! **2009** " **11.00** საკვირაო სახარების განმარტება **11.10** კვირიაკე **12.04** მხ/ფ "**ცალე გა ზაფხული მოვა**" **13.35** ან/ფ "ქალთევზა " **15.05** ქართ. ან/ფ "ძილის გუდა" **15.15** დ/ფ "ველური ბუნება - აფრიკაფ **15.40** სპექტაკ ლი "**ალა ლე**" **17.10** დ/ფ "ბარტ ვულფი - სინგაპური " **17.45** თვენი "ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება **2010**" **18.10** ერთი დღე მონასტერში "მათე ტაკიძე - ნეკრესის მამათა მონასტერი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** გზა, რომლითაც ვიარე "ჟორდანიები" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში "თავისუფალი სავაჭრო სივრცე " **20.25** თვენი "ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი " ლოცვა ეშმაკის განდევნისა" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "მეუფე ზოსიმე შიოშვილი" **21.55** საეკლესიო კალენდარი **22.15** შარავანდედი "ლევან გოთუა, თედო სახოკია " **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია " I ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "დავით არსენიშვილი" **23.40** ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთი" **00.40** კონცერტი

**მაესტრო** **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 სექტემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4387 |
| ევრო | 2.9057 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1532 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2132 |

**ამინდის პროგნოზი 4 სექტემბრისთვის**





## 5 სექტემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 31 აგვისტოდან




ალექსანდრე იასაღაშვილი

**შავი ვარდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 აგვისტოდან




**საოჯახო სამზარეულო**

1 ტომი

ხორცეული
თევზეული
სალათები

**ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი და 50 თეთრი**


## იუმორი



•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი შვილი რა სწრაფად იზრდება. რაიმე განსაკუთრებულს აჭმევ?

– არა, უბრალოდ, ყოველ სამ თვეში ერთხელ კომპიუტერის მონიტორს 5 სანტიმეტრით მაღლა ვწევ.

•••

ტურისტი გიდს ეკითხება:

– ამ ძეგლზე გენერალი ასეთ უცნაურ პოზაში რატომ არის გამოსახული?

– ცხენზე უნდა ყოფილიყო ამხედრებული, მაგრამ მერიას ფული არ ეყო.

•••

ნარკომანი სარკეში იხედება:

– ვაა, მე ვარ, ბიჭო!

ცოტა ხანში ისევ ჩაიხედა სარკეში:

– ისევ მე ვარ, ბიჭო!

ამ დროს კარზე აკაკუნებენ. ნარკომანი კითხულობს:

– ვინ ხარ?

– მე!

– აუ ჩემი, გარეთაც მე ვარ!

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თქვენ გამო გავცივდი.

– ჩემ გამო რატომ?

– ღამით ჭამა რომ ამიკრძალეთ.

– კი მაგრამ, ეგ რა შუაშია?

– მთელი ღამე მაცივრის ღია კარის წინ ვიდექი და მოხარშულ დედალს ვუყურებდი.

•••

კაცი ზის და წამლებს ყლაპავს. მეზობელმა დაინახა და ეკითხება:

– რა, ცუდად ხარ?

– არა, კაცო, ამ წამლებს დღეს შენახვის ვადა გასდის და...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მეგობარს რომ გაუჭირდება, ხომ უნდა დავეხმარო?

– კი, შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?

•••

რჩევა:

„იცით თუ არა, რომ ჭამის წინ თუ ფეხებს დაიბანთ, ხელებიც თავისთავად დაგებანებათ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

**10 აგვისტოდან ტომი 50 პინოჩეტი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**17 აგვისტოდან ტომი 51 იულიუს კეისარი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**24 აგვისტოდან ტომი 52 ლინკოლნი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


# საქართველოს ფრემ ირლანდიასთან სერბების საქმე გააკეთა

**საქართველო-ირლანდია 1:1**

**თბილისი. დინამო არენა.**

0:1 დაფი (4), 1:1 ყაზაიშვილი (34)

**საქართველო:** მაკარიძე, კაკაბაძე, კვერკველია, კაშია, ნავალოვსკი, კვეკვესკირი, გვილია, ანანიძე, ჯიღაური (ჭანტურია 75), ყაზაიშვილი (ხოჭოლავა 90), ქვილითაია (მერებაშვილი 85)

**ირლანდია:** რენდოლფი, კრისტი, დაფი, კლარკი, უორდი, ბრეიდი, ველანი (მერფი 79), არტერი (მაკგიდი 61), მაკლინი, ვალტერსი, ლონგი

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი განქორწინებასა და ერთად ყოფნას აპირებენ

ჰოლივუდის მსახიობებმა ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ გადაწყვიტეს, ისევ ერთად იყვნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა წყვილის ბიოგრაფზე, ჟურნალისტ იანა გალპერინზე დაყრდნობით ავრცელებს.



მისი თქმით, წყვილი ერთმანეთს პირისპირ შეხვდა, როდესაც მეგობრებთან სტუმრად იმყოფებოდნენ. იქ პირველი ნაბიჯი პიტმა გადადგა, რის შემდეგაც „ისინი ერთმანეთს ჩაეხუტნენ“ და ცრემლებს ვერ იკავებდნენ. ბიოგრაფი ამტკიცებს, რომ მსახიობებმა გადაწყვიტეს, ინტენსიური რეაბილიტაცია გაიარონ და სულიერ კონსულტაციებზე იარონ, რათა საკუთარი ურთიერთობა საჭირო კალაპოტში დააბრუნონ.

ამავე დროს, ეს სიახლე იმას არ ნიშნავს, რომ წყვილმა განქორწინება გადაიფიქრა. პიტი და ჯოლი განქორწინებას განიხილავენ, როგორც მათი ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყების შესაძლებლობას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქალაქი ესპანეთში; 3. სითხის ან გაზის რაოდენობა, რასაც იძლევა დროის ერთეულში წყარო; 8. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 9. ცხოველთა „მეფე“; 14. მტაცებელი ფრინველი; 15. გასანათებელი ხელსაწყო; 17. „... და მისი ძმები“; 20. ძაღლის ჯიში; 22. თართი; 23. მხარე საქართველოში; 25. აბატი ფარიას ციხე; 26. სიგრძის საზომი ერთეული ძველად; 27. თაღი; 28. წვრილი მაკარონი.

**შვეულად:** 1. ხერხემლის ძვალი; 2. სოფელი რაჭაში; 3. ატომის ბირთვი; 4. პირველი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი (ავიაკონსტრუქტორი ტუპოლევი); 5. ფრანგული საწებელი; 6. პარკოსანი მცენარე; 7. ერთგვარი გუდასტვირი; 10. ქმრის და; 11. პირობითი წერილობითი ნიშანი; 12. ზოდიაქოს ნიშანი; 13. ღირებულება; 16. ღვინის შესანახი ნაგებობა; 18. კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 19. ზანდუკი; 21. რბილი ტყავი; 24. ატმოსფერული მოვლენა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*